თბილისის ღია უნივერსიტეტი

საბა ხვიჩია

თემა: აშშ-ჩინეთის თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0177, საქართველო.

2020 წელი, ივლისი

საიდენტიფიკაციო ნომერი:

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ავტორის ხელმოწერა:

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

ჩვენ ქვემორე ხელმომწერნი ვადასტურებთ რომ გავეცანით საბა ხვიჩიას მიერ შესრულებულ ნაშრომს **„აშშ-ჩინეთის თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები“** და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დაცვის თარიღი:

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული
განვითარების სამსახურის უფროსი _____

რეცენზენტი: _____

რეზიუმე

სახელმწიფოთა ერთობლიობა ქმნის თანამედროვე საერთაშორისო სისტემას. დღეს დიდი თუ პატარა ქვეყნები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მსოფლიოში მიმდინარე სხვა და სხვა სახის სოციალურ პროცესებში. თუმცა პოლიტიკურ ამინდს მაინც ზესახელმწიფოები ქმნიან, რომლებიც ყველა გზებითა და ბერკეტებით ცდილობენ საკუთარი პოზიციების გატარებას. ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს XXI საუკუნის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში.

ჩინეთის სწრაფად მზარდი ეკონომიკა აქტიურ კონკურენციას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების შესაძლო ჰეგემონიას, აქედან გამომდინარე ჩინეთის საკითხი ამერიკის პოლიტიკაში საკმაოდ აქტუალურია და მთავარ ადგილს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ჩინეთ-ამერიკის თანამედროვე ურთიერთობები, უფრო კონკრეტულად კი, ჩვენს მიზანს წარმოადგენს შევისწავლოთ ორი გლობალური აქტორის ინტერესები და ბრძოლის მეთოდები გავლენისა და უპირატესობის მოსაპოვებლად.

ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებში არსებობს არაერთი სახის გამოწვევა, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს ორი ქვეყნის ურთიერთობას. მათ შორის ურთიერთობები არასახარბიელო იყო წინა წლებშიც და ის აქტიურად იცვლებოდა ამერიკის პრეზიდენტების ცვლასთან ერთად, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით მძიმე ფაზაში შევიდა 2020 წლის დასაწყისიდან, რაც უკავშირდება კოვიდ 19-ს და მასთან დაკავშირებულ არაერთი სახის დეზინფორმაციასა თუ პროპაგანდას, ამასთანავე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ტაივანის, ჰონ-კონგის, სინძიანგის საკონცენტრაციო ბანაკების, სამხრეთ ჩინეთის ზღვის საკითხები.

წლების მანძილზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდაამერიკა-ჩინეთს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები, რომელიც პრიორიტეტულია ორივე სახელმწიფოსთვის და არაერთხელ აღინიშნა სახელმწიფოთა ლიდერების მიერ მათ შორის პარტნიორობის გაღრმავების საკითხის აუცილებლობის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოა და მას ფაქტიურად არ ყავდა კონკურენტი ცივი ომის დასრულების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში. რუსეთი ეცადა გამხდარიყო გაეწია კონკურენცია, თუმცა უშედეგოდ.წლების შემდეგ პოლიტიკურ სარბიელზე ჩნდება ჩინეთის სახელმწიფო, რომელმაც შეძლო და მძაფრი კონკურენცია გაუწია ამერიკის შეერთებულ შტატებს, რაც გახდა კიდევაც მიზეზი მათი დაპირისპირების მიზეზი, რის შემდეგადაც მათ შორის ურთიერთობები დაეფუძნა კონკურენციის პრინციპს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამერიის შეერთებული შტატები არის გლობალური ლიდერი, რომელიც ჩართულია მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და ავლენს ინტერესს მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნებით. რაც შეეხება ჩინეთს ის ინტერესს ძირითადად საკუთარ რეგიონზე გავლენის დამყარებაში ავლენს და კონცენტრირებულია მეზობელ ქვეყნებზე. თუმცა მას აქვს ეკონომიკური ინტერესები, რომლის საშუალებითაც ის ზრდის თავისი გავლენის შესაძლებლობებს მთელს მსოფლიოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ორ ზესახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთობები და განსაკუთრებით დაპირისპირებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკურ სურათზე და იწვევსმნიშვნელოვან ძვრებს სახელმწიფოთა ურთიერთობის კონტექსტში.

Summary

the combination of countries creates a modern international system. Today, large and small countries are actively participating in various social processes around the world. However, the political climate is still created by the superpowers, which are trying to take their own positions by all means. CHINA-US relations play an important role in foreign policy in the 21st century.

China's fast-growing economy is in stark contrast to the possible hegemony of the United States, so the issue of China is quite topical in American politics and is on the agenda of international relations.

The aim of this master's thesis is to study the modern Chinese-American relations, and more specifically, our goal is to study the interests of the two global countries and methods of struggle to gain influence and advantage.

There are a number of challenges in China-US relations that can seriously damage relations between the two countries.

China-US relations have been unfavorable in recent years and have changed dramatically with the change of US presidents. The issues of Taiwan, Hong Kong, Xinjiang concentration camps and the South China Sea occupy an important place.

An important factor is the trade relations between them, which is a priority for both countries, and the need for deepening the partnership between the leaders of the states has been repeatedly mentioned.

The United States is a world leader and has virtually no competitors for a long time after the end of the Cold War. Russia has tried to become a rival to the United States, but to no avail, and since then the Chinese state has been able to compete with the United States, which has led to even more controversy. However, it should be noted that the United States is a global leader involved in ensuring global security and showing interest in maintaining stability in the world. As for China, it is mainly interested in influencing its own region and

concentrating on neighboring countries. However, it has economic interests, through which it increases its opportunities for influence around the world.

It should be noted that the relations between the two superpowers and especially the controversies have a significant impact on the international political picture and cause

სარჩევი

რეზიუმე ---------- 2

შესავალი ---------- 7

თავი 1. აშშ-ჩინეთის ურთიერთობების ისტორიული ასპექტები

1.1. ტაივანის და ტიბეტის ფაქტორი აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში --------- 12
1.2. ეკონომიკური ფაქტორების გავლენა აშშ-ჩინეთის ურთიერთობაზე ----- 27
1.3. აშშ-ჩინეთის ურთიერთობები ჯორჯ ბუშ უმცროსისა და ობამას პრეზიდენტობის წლებში ----------32

თავი 2. ორი ზესახელმწიფოს კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება

2.1. აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ჯონ ტრამპი და მისი ნეოკონსერვატორული პოლიტიკა ----------37
2.2. ინფორმაციული ომის თავისებურებები და მისი გავლენა ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებზე ----------40
დასკვნა ---------- 47

გამოყენებული ლიტერატურა ----------53

შესავალი

თემის აქტუალობა: მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლამ აქტიური სახე მიიღო განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე, განვითარებული და დიდი სახელმწიფოების გვერდით, რომლებიცზესახელმწიფოებად ითვლებიან ახალი ქვეყნები ჩნდება, რომლებიც სულ უფრო მეტად იმტკიცებენ თავიანთ მდგომარეობას და ცდილობენ ადგილის დამკვიდრებასთან ერთად თქვან თავიანთი სიტყვა საერთაშორისო არენაზე. ბოლო ათწლეულებში ასეთ სახელმწიფოდ სწრაფი განვითარების გამო, იქცა ჩინეთი, რომლის ასეთი სწრაფი ტემპით განვითარებამაც საფრთხე შეუქმნა ამერიკის შეერთებული შტატების შესაძლო ჰეგემონიას, თუმცა აშშ ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ჩინეთის გავლენის გაზრდას.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დაპირისპირება თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს არაერთი ფორმითა თუ მეთოდით. ორ სახელმწიფოს შორის დაპირისპირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტაივანისა და ტიბეტის საკითხები, რომლებიც უკვე ათეული წლებია მათ შორის დაპირისპირების მთავარ ფაქტორად იქცა. ხოლო ომის წარმოების მეთოდებიდან უნდა აღინიშნოს ინფორმაციული ომი, რომელიც გააქტიურებულ იქნა განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე გლობალური პანდემიის პირობებში.

ამერიკის შეერთებული შტატები ცივი ომის დასრულების შემდეგ წამყვან სახელმწიფოდ იქცა, რომლის კონკურენტი საკმაოდ დიდი ხნის მანძილე არ გამოჩენილა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ჩინეთის სახელმწიფო იქცა მის მთავარ მეტოქედ. თუმცა ჩინეთისაგან განსხვავებით აშშ დღესაც რჩება ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ვინაიდან მას უდიდესი წვლილი შეაქვს მსოფლიო უსაფრთხოების საკითხში და მთავარ ძალად არის ჩამოყალიბებული მსოფლიოში, ხოლო ჩინეთის ინტერესები შემოფარგლულია რეგიონით.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები. ჩინეთის ეკონომიკა ძლიერია, რაც ასევე ხელს შეუწყობს მისი სამხედრო პოტენციალის გაძლიერებასაც. ჩინეთსა და ამერიკას შორის 2010 წლისთვის თანაფარდობა დაახლოებით ½ იყო მთლიანი შიდა პროდუქტის კუთხით.

ტაივანის საკითხი ჩინეთისთვის ნამდვილ თავსატეხად იქცა, ტაივანი და ჩინეთი 1949 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ სხვადასხვა მთავრობების მიერ იმართება. ტაივანი სერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობს, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. ტაივანისა და ტიბეტის საკითხი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობებში, აღნიშნული არაერთხელ ქცეულა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული უთანხმოების მიზეზად. აშშ ოსტატურად იყენებს აღნიშნულ საკითებს ჩინეთის წინააღმდეგ, რომლითაც კარგად ახერხებს მოახდინოს ზემოქმედება მასზე.

ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები საკმაოდ კომპლექსური იყო ისტორიის მანძილზე. მას შემდეგ რაც ჩინეთში კომუნისტური პარტია მოვიდა ქვეყნის სათავეში, აშშ უდმივად ცდილობდა, მოეხდინა ჩინური კომუნისტური პარტიის დესტაბილიზაცია. ვინაიდან ამერიკა მასში ხედავდა ძალას, რომელსაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

ცივილიზაციათა შორის განსხვავება საკმაოდ დიდ ასახვას პოლულობს სახელმწიფოთა ურთიერთობებზე, რომელიც ცვალებადია თაობების ცვლასთან ერთად. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ გამოწვევებს კი არეგულირებს და აბალანსებს პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება სახელმწიფოთა ურთიერთობების პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამართლებრივ ასპექტებს და გამოიხატება სუვერენიტეტის ურღვეობასა და ურთიერთპატივისცემაში, რეგიონალური განვითარების ხელშეწყობაში. ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები, მათ შორის არსებული გამოწვევები და წინაღობები მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მსოფლიოსთვისაც. თანამედროვე გლობალური პროცესები კი აღნიშნულ საკითხებს საერთშორისო ურთიერთობები დღის წესრიგში წინა პლანზე აყენებს.

ჩინეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე უარყოფითი გავენა იქონია პანდემიამ, რომლის მასშტაბები ჩინეთში საკმაოდ დიდია, გარდაცლილთა რიცხვი ახალი პანდემიის პირობებში 150 000-ზე მეტ ადამიანს შეადგენს, ხოლო ინფიცირებულთა რაოდენობა კი ყოველდღიურად საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდება სხვა და სხვა ქვეყნებში.

აღნიშნულმა გამოწვევამ უარყოფითი გავლენა მოახდინა, არამხოლოდ ჩინეთზე, არამედ მსოლფიო ქვეყნებზეც. განსაკუთრებით დაზარალდნენ ისეთი ტიპის სახელმწიფოები, რომლებიც ძირითადად იმპორტზე არიან დამოკიდებულები და ღრმა კრიზისში აღმოჩნდნენ.

ფინანსთა მსოფლიო ასოციაციის მონაცემებით, როდესაც ჩინეთში 2020 წლის დასაწყისიდან გამოიკვეთა ვირუსი, ფულის გადინებამ განვითარებადი სახელმწიფოებიდან შეადგინა დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი და საკმაოდ გადააჭარბა ადრეული პერიოდის ფინანსურ კრიზისს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთიდან არ ხდება კაპიტალის გადინება, მისი ეკონომიკა მაინც ზარალდება, მარტივი მისახვედრია თუ რა ელით ისეთ სახელმწიფოებს, საიდანაც ხდება დასავლური კაპიტალის გადინება. ჩინეთი ბუნებრივი რესურსების კუთხით უმსხვილესი იმპორტიორი სახელმწიფოა. ჩინეთი განვითარებადი სახელმწიფოების პროდუქციისთვის მაკომპლექტებელი ნაწილების თითქმის ნახევარს აწარმოებს.

გლობალურმა პანდემიამ ჩინეთს საკმაოდ რთულ დროს შეუტია, მაშინ, როდესაც მისი ეკონომიკა ისედაც იყო კრიზისში. მართალია მისი ეკონომიკა მაინც გაიზარდა, მაგრამ წინა წელთან შედარებით მისი მაჩვენებელი მხოლოდ 6.1% იყო.

კვლევის მიზანი. მოცემული კვლევის მიზანია შეისწავლოს ორი ზესახელმწიფოს შორის ურთიერთობები, ის გამოწვევები და საფრთხეები, რომელიც დღეს დგას ამერიკისა და ჩინეთის წინაშე, წამოწეულ იქნას ის საკითხები, რომლებიც პირდაპირი თუ ირიბი სახით უარყოფით გავლენას მოახდენს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე, ვინაიდან მათ შორის არსებული უთანხმოება გავლენას იქონიებს დანარჩენ მსოფლიოზეც, რადგან მსოფლიოში პოლიტიკურ ამინდს სწორედ წამყვანი სახელმწიფოები ქმნიან და განსაზღვრავენ.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, თუ რა გავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკურმა ინტერესებმა და გატარებულმა პოლიტიკურმა კურსმა, ამერიკის პრეზიდენტების ცვალებადმა ურთიერთობებმა ჩინეთის სახალხი რესპუბლიკაზე, აღნიშნული სახელმწიფოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბედზე.

აღსანიშნავია, რომ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები საკმაოდ დინამიური და ცვალებადია. ჩინეთის საკითხი არ კარგავს აქტუალობას თანამედროვე მსოფლიოში და ის საერთაშორისო დღის წესრიგში აქტიურ ადგილს იკავებს. მისი როლი დღითი-დღე იზრდება და საკმაოდ დიდ ანგარიშ გასაწევ ძალას წარმოადგენს დღეს მსოფლიოსათვის. ჩინეთ-ამერიკას შორის 1978 წლიდან 2017 წლამდე დამყარებული იყო მზარდი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები, ჩამოყალიბებულ იქნა რთული კავშირები ოს სახელმწიფოს შორის.

ეკონომიკური საკითხები დღეს ფაქტიურად პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტაივანის, ჰონ-კონგის, სინძიანგის საკონცენტრაციო ბანაკების, სამხრეთ ჩინეთის ზღვის საკითხებიც, რასაც ემატება კორონავისურის გავრცელებასთან დაკავშირებული ინფორმაციული ომი, რომელიც ძალიან მძიმედ აისახა ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებზე და დღეს, როგორც არასდროს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ჩიხშია შესული.

ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებში მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტაივანის საკითხიც, ჩინეთი ძლიან დიდი სახელმწიფოა, ტერიტორიით ის არის მესამე ქვეყანა მსოფლიოში, მოსახლეობის რაოდენობით კი ჩინეთი პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატები კი ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს.

ამერიკა ჩინეთის ურთიერთობებში არსებულმა უთანხმოებამ და ცუდად განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს საერთშორისო ასპარეზზე.

მეცნიერული სიახლე: წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობასსიღრმისეულად იყოს დამუშავებული შემდეგი საკითხები:

- ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები ისტორიულ კონტექსტში, ტაივანის, ტიბეტის, ჰონგ-კონგის, სინძიანგის, სამხრეთ ჩინეთის ზღვის საკითხები და მათი გავლენა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებზე;
- ეკონომიკური ფაქტორების გავლენა აშშ-ჩინეთის ურთიერთობებზე;
- კომპლექსურად არის დამუშავებული და შედარებული ამერიკის შეერთებული შტატების სამი პრეზიდენტის (ჯორჯ ბუში უმცროსი, ბარაკ ობამა და დონალდ ტრამპი) ცვალებადი ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკური კურსი ჩინეთთან მიმართებაში;
- ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საინფორმაციო ომის შესწავლის საკითხები, რომელიც გამოყენებულ იქნა, როგორც ახალი საშუალება ჩინეთის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, როგორც ადრეულ პერიოდში, ასევე დღეს არსებულ გლობალურ პანდემიასთან დაკავშირებით მიმდინარე დაპირისპირებების ფონზე, რომელიც სერიოზულ ასახვას პოულობს ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებზე.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტს წარმოადგენს ამერიკა-ჩინეთის თანამედროვე ურთიერთობები, ვინაიდან აღნიშნული საკითხი გლობალური მნშვნელობისაა, ხოლო მათ შორის არსებული დაძაბულობა გავლენას ახდენს არამხოლოდ ამ სახელმწიფოების, არამედ მსოფლიოს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ბედზე. ამერიკის შეერთებული შტატები ცივი ომის დასრულების შემდეგ ნომერ პირველ სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც არ ჰყავდა მეტოქე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კი მას ღირსეული კონკურენცია გაუწია ჩინეთმა, რომლის ეკონომიკური თუ პოლიტიკური პოტენციალიც საკმაოდ სწრაფად მზარდია, რაც ხელს უწყობს მისი გავლენის სფეროების ზრდასაც. არსებულ დაპირისპირებაში დღეს სახელმწიფოები იყენებენ ომის ახალი სახეს, ინფორმაციულ/საინფორმაციო ომს, რომელიც გახლავთ ჰიბრიდული ომის შემადგენელი ნაწილი და რომლის გამოყენებაც ხდება თანამედროვე მსოფლიოში, როგორც მლავრი იარაღის. ჩინეთის მიერ ადრეულ და თანამედროვე პერიოდშიც აქტიურად იქნა გამოყენებული საინფორმაციო ომი, რომელიც მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, რამაც თავისთავად მოახდინა ასახვა ამერიკა ჩინეთის ურთიერთობებზე.

კვლევის მეთოდოლოგია: ჩვენს მიერ სამაგისტრო ნაშრომზე კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდოლოგია: თვისობრივი კვლევა, რომელიც გულისხმობს კვლევას, სადაც ჩანს დაინტერესებული მხარეების პოზიციები და ძირითადი მიგნებები.

კვლევის მეთოდოლოგიაში გამოყენებულ იქნა საჯარო და ღია წყაროებიდან მოპოვებული კვლევის შედეგები და მაგალითები, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკა-ჩინეთის თანამედროვე ურთიერთობებთან.

<u>თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:</u> სამაგსტრო ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი მუშაკებისათვის.

<u>ნაშრომის სტრუქტურა:</u>ნაშრომი შედგება შესავლის, 2 თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

თავი 1. აშშ-ჩინეთის ურთიერთობების ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები

1.1. ტაივანის და ტიბეტის ფაქტორი აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები, ვინაიდან მათ შორის ურთიერთობებში არსებული დაძაბულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არამხოლოდ ამ სახელმწიფოების, არამედ მსოფლიოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ბედზე. აშშ სუპერსახელმწიფოა, რომელსაც აქვს ამბიციები შესაძლო ჰეგემონონიაზე, ძლიერ სახელმწიფოებს ყოველთვის ჰყავთ ხოლმე მეტოქე და სწორედ ასეთ მეტოქედ წარმოგვიდგება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლის ეკონომიკური თუ პოლიტიკური პოტენციალი საკმაოდ სწრაფად იზრდება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც შესაბამისად ზრდის მისი გავლენის სფეროებსაც.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები საკმაოდ კომპლექსური გახლდათ ისტორიის მანძილზე. ჩინეთში კომუნისტური პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ აშშ უდმივად ცდილობდა, მოეხდინა ჩინური კომუნისტური პარტიის დესტაბილიზაცია. ვინაიდან ამერიკა მასში ხედავდა ძალას, რომელსაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

ცივი ომის პერიოდში ურთიერთობები საკმაოდ დაძაბული იყო. ჩინეთი ამერიკის მიერ მოიხსენიებოდა, როგორც „წითელი ჩინეთი“, რომლის სისასტიკესაც ზოგჯერ უფრო დიდ საფრთხის შემცველად მოიაზრებდნენ, ვიდრე საბჭოთა კავშირს.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩინეთს აქვს პრობლემები, რომელთა მოგვარებაც ადვილი არ არის და არც მათი ეფექტური

მოგვარების პერსპექტივა არ ჩანს. ეს პრობლემებია: შიდა დაძაბულობა, საგარეო ურთიერთობა სამხრეთ აზიის რეგიონის ქვეყნებთან და დემოგრაფიული პრობლემები.

შიდა დაძაბულობაში ჩინეთის ორი პრობლემური პროვინცია იგულისხმება: სინძიანი და ტიბეტი, ამ ორ რეგიონს აქვს ავტონომიური რაიონების სტატუსი.

სინძიანის პროვინციაში ცხოვრობენ ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებული უიღურები, რომლებიც მიეკუთვნებიან თურქული ხალხების ჯგუფს და არიან მუსლიმები. ისინი ითხოვენ ფართო პოლიტიკურ ავტონომიას, თუმცა ჩინეთი არ არის თანახმა. მიუხედავად იმისა რომ რეგიონში ჩინური პოლიციური ძალების დიდი ნაწილი იმყოფება, არეულობა ხშირად ხდება და პოლიციაც სრულყოფილად ვერ აკონტროლებს სიტუაციას.

ტიბეტში სიტუაცია ცოტა სხვაგვარადაა, ტიბეტელები დამოუკიდებლობას ითხოვენ, მათი ლიდერი დალაი ლამა ოც წელზე მეტია რაც ემიგრაციაში იმყოფება, ჩინეთში დაბრუნების შემთხვევაში სავარაუდოდ მას დააპატიმრებენ, მას პოლიტიკური თავშესაფარი ინდოეთმა მისცა.

დასავლეთი ახალისებს უიღურულ და ტიბეტურ ორგანიზაციებს გააფართოვონ მუშაობა საკუთარი მიზნების მისაღწევად, ეს რა თქმა უნდა ხელს უშლის ჩინეთის საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებას.

შიდა პრობლემებში ითვლება ტაივანიც, თუმცა ტაივანის საკითხის მოგვარებაში ძალიან მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების პოზიცია, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების. ტაივანს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან და მათ მიერ აღიარებულია ჩინური ტერიტორიების ერთადერთ ლეგიტიმურ წარმომადგენლად. 1972 წლამდე სწორედ ტაივანი იყო გაეროში ჩინეთის წარმომადგენელი.

რაც შეეხება ჩინეთის რეგიონულ პრობლემებს, ჩინეთს არც ერთ შედარებით ძლიერ მეზობელ ქვეყანასთან არ აქვს კარგი ურთიერთობა.

ამერიკის შეერთებულ შტატებს ინდოეთის ოკეანეში აქვს სამხედრო-საზღვაო ბაზა კუნძულ დიეგო გარსიაზე. ჩინეთი ცდილობს გაზარდოს საკუთარი სამხედრო-საზღვაო პოტენციალი, რაც უარყოფითად აისახება ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებზე, ხოლო ამერიკის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ჩინეთისათვის ტაივანის საკითხებში.

რაც შეეხება დემოგრაფიულ პრობლემებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში გაამართლა „ერთი შვილის პოლიტიკამ", რომელიც 1979 წლიდან მოქმედებს, ჩინეთის მოსახლეობა წელიწადში მაინც რამდენიმე მილიონით იზრდება.

ტაივანის პრობლემა მთავარი თავსატეხია ჩინეთისათვის. კუნძული ტაივანი სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიის ტრადიციული მრავალხმიანობის გავრცელებისა და კვლევის ერთ – ერთი ცენტრალური რეგიონია. აქ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის რამდენიმე ჯგუფი ცხოვრობს, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ჩინელებისაგან. თუმცა სახელმწიფო ენა არის ჩინური. მისი ფართობი კი 35,980 კვ. კმ – ია, მოსახლეობა კი 22,1 მილიონი.

1949 წელს აქ თავშესაფარი ჰპოვა ჩინეთის ნაციონალისტურმა მთავრობამ ჩან კაი შის ხელმძღვანელობით, რომელიც კომუნისტურ ომში დამარცხდა მაო ძე – დუნთან.

ტაივანში ჯერ კიდევ 1947 წელს არჩეულ იქნა ადგილობრივი ეროვნული კრება, 1948 წელს კი საკანონმდებლო საბჭო, რომლის უფლებამოსილებაც შემდგომში განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდა. ამ დროს ჩინეთის პრეზიდენტი იყო ჩან კაი – ში, ჩან კაი – ში 1950 წლის 1 მარტს კვლავ გახდა პრეზიდენტი. აშშ-ის ადმინისტრაცია ცდილობდა თავი შორს დაეჭირა ჩან კაი – შისგან, თუმცა 1950 – 1953 წლების კორეის ომის შემდგომ შეიცვალა ამერიკის დამოკიდებულება

ტაივანის მიმართ. ამერიკელ სენატორთა ჯგუფმა გაავრცელა განცხადება, რომ ჩინეთის რესპუბლიკის მხარდაჭერის პოლიტიკა უნდა გახდეს აშშ – ის მტკიცე და თანმიმდევრული პოლიტიკა.[1]

1954 წლის 2 დეკემბერს აშშ - ის მთავრობამ დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები დაამყარა გომინდამის ხელისუფლებასთან და დადო მასთან ურთიერთუშიშროების ხელშეკრულება, აშშ – მა საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება დაეცვა ტაივანი და სხვა კუნძულები, რომლებზეც ჩრდილოეთის იურისდიქცია ვრცელდებოდა. 1954 წლის ხელშეკრულებით აშშ-მა განალაგა ტაივანზე ამერიკული სამხედრო ძალები, შემდეგ სენატმა უფლება მისცა აშშ-ის პრეზიდენტს თავისი შეხედულებისამებრ გამოეყენებინა შეიარაღებული ძალები ტაივანის სამხედრო თავდასხმისაგან დასაცავად. რა თქმა უნდა ტაივანიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აშშ – ისათვის, სწორედ ტაივანიდან ხორციელდებოდა მატერიკული ჩინეთის საჰაერო დაზვერვა, მათ შორის ტაივანელი მფრინავების მეშვეობით და სადაზვერვო ინფორმაციებსაც ტაივანელი სპეციალისტები შიფრავდენ, რადგან მათ გარეშე სხვადასხვა ჩინურ დიალექტებზე მიმდინარე საუბრების გაგება შეუძლებელი იყო.

მართალია აშშ ნამდვილ ჩინეთად ტაივანს მიიჩნევს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1972 წელს პრეზიდენტი ნიქსონი ჩადის პეკინში და მაო ცზე – დუნთან მოლაპარაკების დროს ის აღიარებს რომ ტაივანი ჩინეთის ნაწილია. 1978 წელს ის აცხადებს დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ ტაივანთან, ჩინეთმა დაიკავა ასევე გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრის ადგილი, რომელიც მანამდე ტაივანს ეკავა. თუმცა 1979 წლიდან აშშ ისევ ანახლებს ტაივანთან ეკონომიკურ, კულტურულ და სამხედრო ურთიერთობებს.

[1]მ. გურამიშვილი. ტაივანის საკითხი ჩინეთის სახალსო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ ურთიერთობებში.თბ., 2009

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა აღიარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ტაივანისთვის მაინც იარაღის მუდმივ მიმწოდებლად დარჩა.

1992 წელს აშშ – მა მიყიდა ტაივანს 150 გამანადგურებელი ბომბდამშენი F-16. პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ არ მიიჩნევს ტაივანს ჩინეთის ნაწილად, რაც პეკინმა ორმხრივი ურთიერთობების სერიოზულ დარღვევად მიიჩნია.[2]

ტაივანი აშშ-საგან ღებულობს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ დახმარებას, ასევე ის სარგებლობს საერთაშორისო მხარდაჭერითაც, ამიტომაც ამ ეტაპზე სამხედრო ძალით პრობლემის მოგვარების შანსი ძალიან მცირეა, რადგან ჩინეთს არ ჰყოფნის სამხედრო პოტენციალი პირველ რიგში ზღვაზე. დღესდღეობით ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტის დიდი ნაწილი სამხედრო საზღვაო სფეროს ხმარდება.

2009 წლის 21 თებერვალს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჩინეთს ეწვია, ჰილარი კლინტონი შეხვდა ქვეყნის ლიდერებს და უბრალო ხალხს. ეწვია ჩინეთის ყველაზე დიდ თერმულ ქარხანას, სადაც ცინგუას უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს გაესაუბრა.

ორი მხარე შეთანხმდა, ერთობლივი ძალებით ებრძოლონ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს და მჭიდროდ ითანამშრომლონ ფინანსურ, ენერგო რესურსების განაწილების, გლობალური დათბობებისა და უსაფრთხოების საკითხებში.

ჰილარი კლინტონმა გააკეთა განცხადება: „არა მგონია, მსოფლიოს კრიზისიდან გამოყვანა აშშ – ისა და ჩინეთის პარტნიორობის გარეშე შესაძლებელი იყოს, ჩვენ გულწრფელი დიალოგები უნდა გავმართოთ იმ საკითხებშიც,

[2]მ. გურამიშვილი. ტაივანის საკითხი ჩინეთის სახალსო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ ურთიერთობებში.თბ., 2009

რომლებშიც უთანხმოება გვაქვს: ადამიანის უფლებები, ტიბეტი, ტაივანი, რელიგიისა და სიტყვის გამოხატვის თავისუფლება.”[3]

ჰილარი კლინტონმა ჯერ კიდევ 13 თებერვალს ვაშინგტონში ყოფნისას, ჩინური ანდაზა მოიშველია და განაცხადა: „ჩვენ ერთ ნავში ვსხედვართ და ერთი მიმართულებით მივდივართ”.

ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებმა გამოთქვეს კმაყოფილება ობამას ადმინისტრაციის მიმართ, რომ ის ცდილობდაამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების გაღრმავებას.

სამხედრო სფეროში არსებული მუდმივი უთანხმოება ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც სულ არსებობდა და დღესაც არსებობს ჩინეთისა და ამერიკის ურთიერთობებში.

2009 წელს ამ საკითხთან მიმართებით განახლდა ჩინეთისა და აშშ-ის ხელმძღვანელთა შორის მოლაპარაკებები. აშშ – ში ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის ცენტრალური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გენერალი სიუ ცაიჰოუ. ქვეყნის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრისას მხარეები შეთანხმდნენ, რომ გადადგამდნენ ერთობლივ ნაბიჯებს სამხედრო დაძაბულობის შესანელებლად და შეიარაღებული კონფლიქტების რისკის შესამცირებლად.[4]

გენერალმა სიუმ განაცხადა, რომ მოლაპარაკებები ხელს შეუწყობდა ორი ზესახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა შორის ნდობის აღდგენას, მაგრამ აქვე მან აღნიშნა, რომ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების გაუმჯობესებას ხელს უშლიდა აშშ-ის მიერ ტაივანისათვის დახმარების გაწევა სამხედრო სფეროში.

---

[3]მ. გურამიშვილი. ტაივანის საკითხი ჩინეთის სახალსო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ ურთიერთობებში.თბ., 2009
[4]შ. მალაშხია. კონფლიქტების ანატომია. თბ., 2011

მიუხედავად ამ შეხვედრებისა და ასევე შემდგომში გაკეთებული განცხადებებისა, ამერიკის სტრატეგიული კურსი ჩინეთის მიმართ სულ იცვლება, მათ შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ არ არის დარეგულირებული.

მართალია ჩინეთი და ამერიკა 2009 წელს შეთანხმდენენ თავდაცვის სფეროში ურთიერთობის განვითარებაზე, თუმცა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი არ მომხდარა.

ჩინეთი დღითი-დღე ძლიერდება, მისი ეკონომიკაც სწრაფად იზრდება, ჩინეთმა ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიოში უდიდეს საავტომობილო ბაზარს აჯობა. ჩინეთის ეკონომიკა დღესაც მიუხედავად დღეს არსებული დიდი გამოწვევებისა, მაინც მყარად გამოიყურება. მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკის შენარჩუნებაკი მის შექმნაზე რთულია.

ასეთ ვითარებაში, აშშ-ისა და ჩინეთის ურთიერთობების მუდმივი ცვლილებების პირობებში შეუძლებელია საერთაშორისო წესრიგი მუდმივი იყოს, ამ პროცესის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ ამ წესრიგის შენარჩუნებაც.

ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნაში თანაბრად მნიშვნელოვანია ჩინეთის როლიც. მხარეთა ურთიერთობები, რომლებიც იწყებოდა ძირითადად, როგორც მოწინააღმდეგის შეკავების სტრატეგიული სქემა, წლებთან ერთად საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა.

ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთობები ჩიხში იყო შესული 2010 წელსაც, როდესაც თითქოსდა კომპანიებს შორის დაწყებული დაპირისპირება გახდა სახელმწიფოთა შორის უთანხმოების მიზეზი. ვაშინგტონი შეშფოთებას ვერ მალავდა პეკინის მიერ კიბერ-თავდასხმების გამო ამერიკულ ვებ-გვერდებზე, თუმცა ჩინეთის ხელისუფლება ამერიკულ კომპანია Google-ზე განხორციელებულ კიბერთავდასხმაში მონაწილეობას უარყოფდა და აშშ-ს ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში ადანაშაულებდა.

ჩინეთის მრეწველობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მინისტრმა პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ პეკინის დადანაშაულება ამ საკითხში უპასუხისმგებლობა იყო.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ჩინეთის ხელისუფლებას სთხოვა, ჩაეტარებინა გამოძიება კომპანია Google-ის ხელმძღვანელების განცხადების გამო. რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თავდასხმები ჩინეთში მყოფმა ჰაკერებმა განახორციელეს.

2010 წლის 12 იანვარს Google-ის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ჰაკერებმა Google-ის პროგრამული კოდებისა და ადამიანის უფლებათა ჩინელი დამცველების ფოსტის გატეხვა სცადეს, გარდა ამისა, კომპანიამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ შეამცირებს ინტერნეტზე ცენზურას, ქვეყნიდან წავა. კომპანია ჩინეთში შევიდა 2006 წელს, მისი შტაბ-ბინაც კალიფორნიაში მდებარეობს. დღეს ჩინეთში 350 მილიონი ინტერნეტ – მომხმარებელი ცხოვრობს, მაძიებელთა ბაზრის ბრუნვა ერთ მილიარდ დოლარად ფასდება, ამ ბაზარზე Google-ის წილი, დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც მისი ჩინელი კონკურენტი აიდუ ბაზრის 60 პროცენტზე მეტს განკარგავს.[5]

ჩინეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ კომპანიამ ისევე, როგორც სხვა ნებისმიერმა უცხოურმა კომპანიამ, უნდა დაიცავს ქვეყნის ტრადიციები და კანონები. ამის პასუხად კომპანია Google-მა განაცხადა, რომ გადადო ჩინეთში ტელეფონის ორი მოდელის პრეზენტაცია.

ჩინეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბებოდა, თუ ობამა დალაი-ლამას შეხვდებოდა.

---

[5] https://www.radiotavisupleba.ge/a/1991847.html Google-ის მცდელობა, გვერდი აუაროს ჩინეთში ცენზურას

ობამა შეხვდა ,,დემოკრატ" სენატორებს, სადაც მას ჰკითხეს, აპირებს თუ არა არსებული სავაჭრო დავის გამო ჩინეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტას. ამაზე ობამამ განაცხადა: „ჩვენი პოზიციაა, რაც შეიძლება მკაცრად მოვთხოვოთ ჩინეთს თავისი ვალდებულებების შესრულება და ზეწოლა განვახორციელოთ მასზე და სხვა ქვეყნებზეც, რათა ისევ გახსნან თავიანთი ბაზარი ჩვენი საქონლისათვის, როგორც ჩვენ ვაკეთებთ" მან ასევე განაცხადა, რომ ამერიკის მომავალი ,,დამოკიდებულია ჩვენს შესაძლებლობაზე, რომ ჩვენი საქონელი მსოფლიოს მასშტაბით გავყიდოთ, ჩინეთი კი ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი ბაზარია". ამერიკა მიისწრაფის, რომ პეკინმა დოლართან მიმართებაში შეწყვიტოს იუანის კურსის ხელოვნური დაწევა.

ობამას განცხადებაზე ჩინეთის ხელისუფლებამ მკაცრი რეაგირება მოახდინა და ჩინეთის საგარეო საქმეთა წარმომადგენელმა მა ჩჯაოსიუიმ განაცხადა, რომ ,,დადანაშაულება და ზეწოლის განხორციელება პრობლემას ვერ მოაგვარებს". ხოლო რაც შეეხება ვალუტის კურს, ჩინური იუანის კურსი არ არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩინეთს ამერიკასთან ვაჭრობაში მნიშვნელოვანი დადებითი სალდო აქვს.

ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთობა მას შემდეგ უფრო დაიძაბა, რაც ამერიკამ ტაივანს მიაწოდა იარაღი.

ჩინური მასმედიის განცხადებით, აშშ-მა თავის თავზე ძალიან ბევრი აიღო, როდესაც ტაივანისთვის იარაღის მიყიდვაზე ხელშეკრულების შეთავაზებისას ორმაგი სტანდარტები გამოიყენა.

ობამას პრეზიდენტობის წლებში აშშ ტაივანისთვის 6,4 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღის მიყიდვას დათანხმდა, ამიტომაც ჩინური

გაზეთები „ჩაინა დეილი” და „გლობალ ტაიმსი” აცხადებენ, რომ ჩინეთის მუქარა აშშ-სათვის შესაბამისი პასუხის გასაცემად სრულიად რეალურია.[6]

ჩინეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს ვითარება სერიოზულ ზიანს მიაყენებდა პეკინისა და ვაშინგტონის ურთიერთობებს. ამავე დროს, აშშ – ადასტურებდა, რომ მისი მოქმედება ფარისევლურია ჩინეთის ინტერესებში შემავალი ყველა საკითხის მიმართ, ამის მიუხედავად აშშ-ში აცხადებდნენ, რომ მიუხედავად ჩინეთის მწვავე რეაქციისა შეთანხმებას ბოლომდე მიიყვანდნენ. „ჩინეთის კომუნისტური პარტიის” ხმა და გაზეთი „გლობალ ტაიმსი” წერდა: „მოვიდა დრო, აშშ-ს ვაჩვენოთ, თუ რამდენად დაძაბულია ვითარება ტაივანისათვის იარაღის მიწოდების გამო. მთელ ჩინეთში მოიპოვებს მხარდაჭერას იმ კომპანიების დასჯა, რომლებიც ტაივანს იარაღს მიჰყიდიან. ამერიკა იდეოლოგიაზე დაფუძნებულ ბარიერებს ახსენებს და ჩინეთის განვითარების შესაფერხებლად მილიონობით მიზეზს იგონებს”.

ჩინეთი და კუნძული ტაივანი 1949 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ, სხვადასხვა მთავრობების მიერ იმართება. ჩინეთი იმუქრება კუნძულის წინააღმდეგ ძალის გამოყენებით, თუ ტაივანი რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებას მოინდომებს.

ჩინეთმა 2010 წლის თებერვლის დასაწყისში გამოცადა მცირე და საშუალო რადიუსის რაკეტებისაგან დამცავი რაკეტსაწინააღმდეგო მოწყობილობა. ოფიციალური ინფორმაციით, სისტემის გამოცდას თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა და რომელიმე კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული. ჩინეთის საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ ჩინეთმა საჰაერო ,,რაკეტსაწინააღმდეგო მოწყობილობა” გამოცადა და „მიზანი მიღწეულია”. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა ოფიციალური პეკინის პროტესტის

[6] https://www.trt.net.tr/georgian/mec-niereba-da-tek-nologia/2019/07/31/ashsh-sam-k-veganas-1-5-miliardi-dolaris-g-irebulebis-iarag-s-mihqidis-1245327 აშშ სამ ქვეყანას 1,5 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღს მიჰყიდის

მიუხედავად ტაივანისთვის თავდაცვითი იარაღის მიყიდვა გადაწყვიტა. ჩინეთმა მანამდე გააკეთა განცხადება, რომ თუ ამერიკა იარაღს მიაწვდის ტაივანს, მაშინ შესაძლოა ჩინეთმა ამერიკასთან გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინეთმა არმიის მოდერნიზების მიზნით საგრძნობლად გაზარდა თავისი თავდაცვითი შეიარაღების დაფინანსება და მუშაობს ძლიერი სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნაზე, რათა ჩინეთ-ტაივანის ომის შემთხვევაში ამერიკისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლოს.

ოფიციალური ტაიბეი იმედოვნებს, რომ ომის შემთხვევაში ამერიკის მხარე მას მიაწვდის იარაღს და ასევე გაუწევს სხვა სახის დახმარებასაც, ობამას ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამერიკამ დაუჭირა მხარი ტაივანისთვის საზენიტო სარაკეტო კომპლექს „პეტრიოტის" მიწოდებას.

ტაივანსა და ჩინეთს შორის ვითარება ძალიან მძიმეა, მაშინ როდესაც 2008 წელს მათ შორის ურთიერთობები იყო გაუმჯობესებული, როდესაც ტაივანის ხელისუფლების სათავეში მოვიდა მა ინძიუ. მისი ინიციატივით პირველად დაწესდა საჰაერო მიმოსვლა ტაივანსა და ჩინეთს შორის. ტაივანი ჩინელი ტურისტებისათვის გაიხსნა.

2010 წლიდან ურთიერთობების დარეგულირება თითქოს დაიწყო ჩინეთსა და ტაივანს შორის, მათ შორის დაიდო კიდეც რამდენიმე სახის შეთანხმება, რომლებიც ეხებოდა უსაფრთხოებას, საბანკო სისტემას და დაზღვევას. აღნიშნული შეთანხმებები ტაივანს აძლევდა შესაძლებლობებს განვითარებისაკენ, ვინაიდან აძლევდა ტაივანის კომპანიებს უფლებას თავისუფლად მოეხდინათ თავიანთი საქმიანობის რეალიზება, თუმცა თავის მხრივ სარგებელს ნახულობდა ჩინეთიც, ვინაიდან მათი წყალობით მას თავისუფლად შეეძლო განეხორციელებინა ინვესტიციები არც თუ ისე პატარა ტაივანის ბაზარზე. თუმცა მათ შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური სისტემების განსხვავებულობა,

როგორიცაა სოციალისტური ჩინეთი და კაპიტალისტური ტაივანი. ჩინეთი ცდილობს ბაზარი უფრო თავისუფალი და ლიბერალური გახადოს.

ჩინეთსა და ტაივანს შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყო იმ ეტაპზე ტურიზმის კუთხითაც. თავისუფალი მგზავრობის პროგრამა ბეიჯინგში, შანჰაიში და სიამინში მცხოვრებთათვის დაიწყო 2011 წლის ივნისში. 2013 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად კი ტაივანს დაახლოებით 2.8 მილიონი ვიზიტორი ჰყავდა ჩინეთიდან, საიდანაც 522 ათასმა ტურისტული ჯგუფისაგან დამოუკიდებლად იმგზავრა.[7]

შეიძლება ითქვს, რომ დღეს ჩინეთი საკუთარი გავლენების ზრდას ცდილობს სწორედ ეკონომიკური ბერკეტებიდან გამომდინარე. ვინაიდან წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ძალისმიერი გზებით ცდილობდნენ გავლენის მოპოვებას.

2017 წელს ტაივანის პრეზიდენტმაც გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ აუცილებელია ორმხრივი თანამშრომლობა, რათა მოხდეს მათი ეკონომიკის გადასვლა განვითარების ახალ ეტაპზე: „პოლიტიკური კონფლიქტიდაახლოებით ექვსი წელია გრძელდება და არ იქნება სწორი თუ დაპირისპირებას თაობიდან თაობას გადავცემთ“.[8]

ამერიკა-ჩინეთს შორის ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მძიმე ფაზაში შევიდა. ორ სახელმწიფოს შორის აქტიურად მიმდინარეობს საინფორმაციო ომი გლობალური პანდემიის საკითხებთან დაკავშირებით, რომელთან ერთადაც თავის აქტუალობას არ კარგავს ძველი საკითხებიც. აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპმა 2020 წლის 26 მარტს ხელი მოაწერა კაკონს, რომლის მიხედვითაც აშშ იღებს ვალდებულებას გამოხატოს

[7]შ. მალაშხია. კონფლიქტების ანატომია. თბ., 2011
[8]https://imedinews.ge/ge/msoflio/92034/taivani-msoplios-chinetisgan-datsvas-stkhovs ტაივანი მსოფლიოს ჩინეთისგან დაცვას სთხოვს

გაზრდილი თანადგომა ტაივანისადმი. ჩინეთზე აღნიშნულმა ნაბიჯმა რათქმაუნდა მოახდინა გავლენა. კანონი ავალდებულებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს ამცნოს კონგრესს იმ შესაძლო ნაბიჯებზე, რასაც გადადგამს აშშ ტაივანთან მიმართებაში დიპლომატიური ურთიერთობების გაძლიერების კუთხით. ასევე კანონი ავალდებულებს აშშ-ს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ძირს უთხრიან ტაივანის უსაფრთხოებას შეცვალოს მიდგომა.

კანონის ერთ-ერთი ავტორია სენატორი კორი გარდნერი, რომელმაც აღნიშნა, რომ დღის წესრიგში დადგა კანონის მიღების აუცილებლობა, რადგან მათ უნდა გეცათ პასუხი ჩინეთის მიერ ტაივანის მიმართ განხორციელებული წნეხისა და ჩაგვრისათვის: „ორპარტიული კანონპროექტი მთლიანი მთავრობისაგან მოითხოვს, რომ ტაივანისადმი ჩვენი მხარდაჭერა გაიზარდოს და ქვეყნებს ძლიერ მესიჯს გაუგზავნის ტაივანისათვის ძირის გამომთხრელი ჩინეთის ქმედებების მხარდაჭერისათვის შედეგები იქნება“[9]

ჩინეთი, რომელიც ტაივანს აღიქვამს მის ერთ-ერთ პროვინციად ხელს უშლის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში ტაივანის ჩართულობას, როგორც ჩინეთი აცხადებს, ტაივანს მის ნაწილად თვლის და ამიტომ საერთაშორისოდ ტაივანს მხოლოდ ჩინეთი წარმოადგენს.

ტაივანი არ არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცის წევრი სახელმწიფო და მას არ უშვებენ ორგანიზაციის მიერ გამართულ საგანგებო შეხვედრებზე. ჩინეთის ზეგავლენის შედეგად არც ყოველწლიურ ასამბლეასა და ტექნიკურ შეხვედრებზე არ უშვებენ.

ტაივანი აღნიშნავს, რომ მისი წვლილი საკმაოდ დიდია გლობალურ უსაფრთხოებაში, თუმცა ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, თუ რა ზომით ჩაერევა

[9] http://www.tabula.ge/ge/story/167796-donald-trampma-taivanis-saertashoriso-urtiertobebis-mxardamcher-kanons-xeli-moatsera დონალდ ტრამპმა ტაივანის საერთაშორისო ურთიერთობების მხარდამჭერ კანონს ხელი მოაწერა

ჩინეთი იმ საკითხების მოგვარებაში, რომლებზეც დასავლეთის მთელი დიპლომატიაა მიმართული, ეს იქნება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა თუ ბირთვული იარაღის პროგრამა.

რაც შეეხება ტიბეტს, აღნიშნული საკითხიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებში. ტიბეტი ჩინეთის 5 ავტონომიური რეგიონებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს. ის მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით და ესაზღვრება ნეპალი, მიანმარი და ბუტანი დასავლეთიდან, ხოლო აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილიდან ს'ჩუანი, იუნნანი, ცინგხაი და სინძიანგი.

მსოფლიოში ყველაზე მაღალი პლატო აქვს ტიბეტს, აქედან გამომდინარე მეტსახელად უწოდებენ „მსოფლიოს სახურავს" და „თოვლის მიწას". ტიბეტი მრავალეთნიკური რეგიონია.

ტიბეტი ექვს რეგიონადაა დაყოფილი და ერთი მუნიციპალიტეტია, რომელიც დედაქალაქს წარმოადგენს. მას შემდეგ რაც ჩინეთში დამყარდა კომუნისტური მმართველობა 1950 წელს ჩინეთის არმია შეიჭრა აღმოსავლეთ ტიბეტში და მოახდინა მისი ოკუპაცია.

1961 წელს გაეროს მიერ მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელიც გამოირჩეოდა მკაცრი ტონით პეკინის მიმართ და მკაფიოდ აფიქსირებდა თავის მოსაზრებას და თვითგამორკვევის უფლებას. როგორც ტიბეტი აღნიშნავდა ამით გაერო ტიბეტს ანჭებდა სრული თავისუფლების სანქციას. თუმცა რათქმაუნდა ეს ნამდვილად არ ნიშნავდა სრულ სეცესიას, ვინაიდან თვითგამორკვევის უფლება კოლონიური კონტექსტის გარეშე გულისხმობს ერის თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებისთვის ავტონომიური სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შექმნის უფლებას.

1965 წელს ჩინეთის მიერ ოფიციალურად იქნა დაფუძნებული ტიბეტის ავტონომიური რაიონი და ავტონომიური მთავრობა, რომელსაც გადაეცა რაიონის მართვის უფლებამოსილება. მას შემდეგ რაც ჩინეთში ეკონომიკური რეფორმები დაიწყო, ჩინეთმა გააქტიურა მოლაპარაკებები დალაი ლამასთან. 1998 წელს ჩინეთის პრეზიდენტმა ძიან ძემინმა ამერიკის შეეღტებული შტატების პრეზიდენტთან კლინტონთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ ის მზად იყო დიალოგისათვის, თუ ტიბეტი აღიარებდა, რომ ის ჩინეთის შემადგენელი ნაწილია.

2002 წელს ამერიკის შეერთებული შტატებისმიერ მიღებული იქნა აქტი „ტიბეტის მიმართ პოლიტიკის შესახებ“. მსგავსი დოკუმენტი ტაივანთან მიმართებაში აშშ-მ 1979 წელს მიიღო. აღნიშნული აქტის მიხედვით: აშშ მხარს დაუჭერდა ტიბეტს განათლების, ჯანდაცვის და გარემოს სისტემების განვითარების თვალსაზრისით.

2003 წელს აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად პრეზიდენტმა ბუშმა კონგრესს წარუდგინა გაწეული სამსახური „ტიბეტის აქტის“ შესაბამისად, სადაც არაერთხელ იყო აღნიშნული დიალოგის დაწყების აუცილებლობა ჩინეთსა და დალაი ლამას შორის, რაც ჩინეთმა აღიქვა, როგორც მის საშინაო საქმეებში ჩარევა და აღნიშნა, რომ მხოლოდ ჩინეთს შეუძლია იყოს ტიბეტის რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების გარანტი.

დალაი ლამამ 2006 წელს კანადის საპატიო მოქალაქის წოდება მიიღო, ხოლო 2007 წელს პრეზიდენტმა ბუშმა ის დააჯილდოვა კონგრესის ოქროს მედლით. დალაი ლამამ სატელევიზიო ინტერვიუში, რომელიც უამრავ ქვეყანაში გადაიცემოდა აღნიშნა, რომ ის ითხოვდა ტიბეტის ავტონომიურობის ამაღლებას და არა გამოყოფას ჩინეთისაგან. 2008 წელს დაიძაბა ურთიერთობები ჩინეთ-ტიბეტს შორის. ამავე წელს ჩინეთის მთავრობის მიერ გამოიცა „თეთრი წიგნი“, რომლის სათაურიც იყო: „ტიბეტური კულტურის დაცვა და განვითარება“.

მსოფლიო ისტორიას თუ გადავხედავთ ნათლად დავინახავთ, რომ გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა ოდითგანვე მიმდინარეობდა, ცალკეული სახელმწიფოების მიერ, სტრატეგიული თვალსაზრისით გავლენის სფეროების მოსაპოვებლად ბრძოლა, თანამედროვე ეტაპზეც აქტიურად გრძელდება. თუ როგორ გადანაწილდება გავლენის სფეროები დამოკიდებული გახლავთ სწორედ მათი განვითარების პოტენციალზე.

1.2. ეკონომიკური ფაქტორების გავლენა აშშ-ჩინეთის ურთიერთობებზე

ჩინეთის საკითხი ათეული წელია აქტიურად დგას მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკურ დღის წესრიგში, თუმცა აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალური გახდა თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ორი ზესახელმწიფოს ინტერესების შეჯახებით სრულიად ახლებურად დავინახეთ მსოფლიო დღის წესრიგი. ჩინეთის ეკონომიკა საკმაოდ მზარდია, მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, ის მსოფლიო პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობებში დიდ ინტერესს იწვევს.

ჩინეთ-ამერიკის ეკონომიკური ურთიერთობები აქტიურ ფაზაში შევიდა 1972 წლიდან. ჩინეთის სახელმწიფო ამერიკისათვის კანადის შემდეგ ყველაზე მსხვილი საექსპორტო პარტნიორია. 2014 წლის მონაცემებით ჩინეთის ეკონომიკაში ამერიკის შეერთებული შტატების ინვესტიციების ხვედრითი წილი 61.5 მილიარდი დოლარი იყო, ხოლო 2016 წლის ბოლო თვის მონაცემებით, ჩინეთი იყო ყველაზე მსხვილი უცხოელი მფლობელი ამერიკის ფედერალური ხაზინის ფასიანი ქაღალდების კუთხითაც.

2000 წელს ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა „ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების აქტს 2000“, რომელიც არეგულირებდა ჩინეთ-ამერიკის

ურთიერთობებს. ამერიკა ასევე დაეხმარა ჩინეთს გამხდარიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო ეკონომიკაში ორი გლობალური მოთამაშეა, რომელთა შორის ურთიერთობების ნორმალიზაციაცუზრუნველყოფს არამხოლოდ ამ ორი ქვეყნის კეთილდღეობას, არამედ მნიშვნელოვანია გლობალური ვაჭრობის კუთხითაც.

ამერიკა-ჩინეთს შორის ურთიერთობებში დაძაბულობა შეინიშნება ეკონომიკის კუტხითაც, სადაც უნდა გამოვყოთ განახლებადი ტექნოლოგიების როლი. ამერიკულმა კომპანიებმა, რომლებიც აწარმოებდნენ სოლარული პანელებს 2011 წელს უჩივლეს ჩინურ კომპანიას, მზის ინდუსტრიას. ამერიკული მხარე ამტკიცებდა, რომ ჩინური კომპანიები კანონების დარღვევით ყიდდნენ მათ მიერ წარმოებულ პანელებს, რაც წესით შეუძლებელი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო დახმარების გარეშე.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ტრანს წყნარი ოკეანის ეკონომიკური გაერთიანების (TPP) შექმნის იდეა ითვლება ჩინეთზე გავლენის მოსაპოვებლად განხორციელებულ ქმედებად და ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად. აღნიშნული ორგანიზაციის დახმარებით ამერიკის ინტერესებს წარმოადგენდა დაენერგა ახალი წესები ვაჭრობის კუთხით რეგიონში, რაც მისცემდა მას საშუალებას რეგიონის ქვეყნები გააერთიანებინა ერთ ეკონომიკურ სივრცეში, მოეხდინა ეკონომიკური ინტეგრაცია და შეექმნა თავისუფალი ზონები წევრი ქვეყნებისათვის თავისუფალი ვაჭრობის საწარმოებლად. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ორგანიზაციის შექმნა რეგიონში უარყოფით გავლენას მოახდენდა ჩინეთზე, ამერიკასთან ვაჭრობის უპირატესობა ექნებოდათ სხვა ქვეყნებს, რომელთაც შესაძლოა ჩაენაცვლებინათ ჩინეთის პროდუქცია.

2010 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო მოლაპარაკებები ტრანს წყნარი ოკეანის ორგანიზაციასთან. მიზანი გახლდა ის, რომ შეცვლილიყო სავაჭრო ბალანსი მსოფლიოში. ორგანიზაციის სავარაუდო წევრებად 12

სახელმწიფო მოიაზრებოდა: აშშ, ჩილე, კანადა, იაპონია, მექსიკა. ორგანიზაცია დახმარებას გაუწევდა უფრო პატარა ეკონომიკის მქონდე სახელმწიფოებს, როგორიცაა ვიეტნამი. დიდი სახელმწიფოებიც თავისთავად ნახავდნენ მოგებას, თუმცა მათთვის უფრო სტრატეგიული დატვირთვა ექნებოდა, ორგანიზაციის წევრობა მათ მოუტანდა რეგიონში პოზიციების განმტკიცებას და გაუწევდნენ კონკურენციას ჩინეთსაც.

საპირისპიროდ, 2011 წელს საფუძველი ჩაეყარა ახალ ორგანიზაციას, რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობა RCEP, რომლის წევრებიც უნდა ყოფილიყვნენ: ჩინეთი, ავსტრალია, ინდოეთი, სამხრეთ კორეა, იაპონია, ახალი ზელანდია და ASEAN-ს რამდენიმე სახელმწიფო. მოლაპარაკებები 2012 წლისთვის გაგრძელდა 16 სახელმწიფოს შორის და მოიცვა მსოფლიოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი პროცენტული მაჩვენებელი, დაახლოებით 45%.[10] აღნიშნული ორგანიზაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეთანხმება უნდა ყოფილიყო.

ორგანიზაციასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი იყო მოლოდინები, რაც უკავშირდებოდა თანამშრომლობის გაღრმავებას წევრ ქვეყნებს შორის და ასევე სარგებლიანობის გაზრდას, როგორც მომხმარებლისთვის, ასევე ორგანიზაციისთვის. მომხმარებელს ექნებოდა წვდომა უამრავ ნაწარმზე, რაც ხელს შეუწყობდა, როგორც ტექნოლოგიურ პროგრესს, ასევე სავაჭრო პოლიტიკასაც.

ამერიკა-ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები ჩიხში შევიდა 2019 წელსაც, ექსპერტები კი აღნიშნავდენენ, რომ ორი უზარმაზარი სახელმწიფოს შორის დაპირისპირება გახდებოდა გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის ზრდის მიზეზი. გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაციის განცხადებით, ორ გლობალურ აქტორს შორის ვაჭრობის კუთხით

[10] https://asean.org/?static_post=rcep-regional-comprehensive-economic-partnership Regional Comprehensive Economic Partnership (RCEP)

დადებული ტარიფების დაახლოებით 80%-ზე მეტი ათვისებულია სხვა ქვეყნების მიერ, საიდანაც ყველაზე დიდ მოგებას ნახულობს ევროკავშირი.[11]

პრეზიდენტმა ტრამპმა ნაციონალური ბიზნესის ფედერაციაზე განცხადების გაკეთების დროს აღნიშნა, რომ ამერიკა ჩინურ პროდუქტებზე ფასებს დააწესებდა, რამაც ერთის მხრივ წარმოშვა „სავაჭრო ომის“ საშიშროება.

მიუხედავად იმისა, რომ წლებია ჩინეთის ეკონომიკა ტოლს არ უდებს არცერთ სახელმწიფოს და მისი ეკონომიკაც მზარდია კორონავირუსმა ჩინეთში საკმაოდ ღრმა კრიზისი გამოიწვია. აღნიშნულმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მსფლიო ეკონომიკაზეც. პანდემია დაიწყო ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციიდან და სწორედ აქედან გამომდინარე ჩინეთმა მიიღო ეკონომიკური დარტყმაც პირველმა. ქვენის ეკნომიკური წლი შემცირებულ იქნა 6,8%-ით. მაშინ როდესაც ჩინეთს ეკონომიკაში ვარდნა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე არ ქონია და მისი ეკონომიკის მზრდადობა ყოველწლიურად 15%-ით იყო გამოხატული.

მსოფლიო ეკონომიკის 17% მოდის ამ ეტაპზე ჩინეთზე. პანდემიის მასშტაბები კი ჩინეთში საკმაოდ დიდია, გარდაცლილთა რიცხვი ახალი პანდემიის პირობებში 150 000-ზე მეტ ადამიანს შეადგენს, ხოლო ინფიცირებულთა რაოდენობა კი ყოველდღიურად საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდება სხვა და სხვა ქვეყნებში.

აღნიშნულმა გამოწვევამ უარყოფითი გავლენა მოახდინა, როგორც განვითარებლ, ასევე ღარიბ და განვითარებად სახელმწიფოებზეც, განსაკუთრებით ისეთი ტიპის სახელმწიფოები, რომლებიც დამოკიდებულები არიან იმპორტზე ღრმა კრიზისში აღმოჩნდებიან.

---

[11] https://www.forbeswoman.ge/post/%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C-%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8-%E1%83%A1%E1%83%90 აშშ-ს და ჩინეთს შრის სავაჭრო ომი, ვინ რჩება მოგებული?

ფინანსთა მსოფლიო ასოციაციის მონაცემებით, როდესაც ჩინეთში 2020 წლის დასაწყისიდან გამოიკვეთა ვირუსი, ფულის გადინებამ განვითარებადი სახელმწიფოებიდან შეადგინა დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი და საკმაოდ გადააჭარბა ადრეული პერიოდის ფინანსურ კრიზისს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთიდან არ ხდება კაპიტალის გადინება, მისი ეკონომიკა მაინც ზარალდება, მარტივი მისახვედრია თუ რა ელით ისეთ სახელმწიფოებს, საიდანაც ხდება დასავლური კაპიტალის გადინება. ჩინეთი ბუნებრივი რესურსების კუთხით უმსხვილესი იმპორტიორი სახელმწიფოა. ჩინეთი განვითარებადი სახელმწიფოების პროდუქციისთვის მაკომპლექტებელი ნაწილების თითქმის ნახევარს აწარმოებს.

გლობალურმა პანდემიამ ჩინეთს საკმაოდ რთულ დროს შეუტია, მაშინ, როდესაც მისი ეკონომიკა ისედაც იყო კრიზისში. მართალია მისი ეკონომიკა მაინც გაიზარდა, მაგრამ წინა წელთან შედარებით მისი მაჩვენებელი მხოლოდ 6.1% იყო. პანდემიის პირობებში კი როგორც ანალიტიკოსები ვარაუდობენ ჩინეთის ეკონომიკა გაზრდას მხოლოდ 2.5%-ით შეძლებს.[12]

ჩინეთ-ამერიკის თანამედროვე ურთიერთობები მეტად დინამიურია, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ასეთი დაძაბული არასდროს არ ყოფილა. არსებული პანდემიის პირობებში, რომელმაც უკვე გამოიწვია მოეხდინა გავლენა მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე და გამოიწვია გლობალური კრიზისი, კიდევ უფრო დაძაბულს გახდის აშშ-ჩინეთს შორის ისედაც მძიმედ მიმდინარე ურთიერთობებს.

---

[12] https://newsreport.ge/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99/ კორონავირუსმა ჩინეთის ეკონომიკა ჩამოაქცია

1.3. აშშ-ჩინეთის ურთიერთობები ჯორჯ ბუშ უმცროსისა და ობამას პრეზიდენტობის წლებში

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების ისტორიას თუ გადავხედავთ ნათლად დავინახავთ, რომ საკმაოდ ცვალებადია პრეზიდენტების ცვლილებასთან ერთად. კლინტონის პრეზიდენტობის წლებში ჩინეთთან ურთიერთობები შედარებით სტაბილური იყო, მაშინ ჩინეთის პრეზიდენტი იყო ძიანგ ძემინი. ჯორჯ ბუშ უმცროსი კი ჩინეთს კონკურენტ სახელმწიფოდ აღიქვამდა და მისი პოლიტიკა შედარებით ხისტი იყო 2001 წლის სექტემბრის ტერაქტამდე, თუმცა ტერაქტის შემდეგ ამერიკის სახელმწიფოებრივი ინტერესი ორიენტირდა ქვეყნის უსაფრთხოების გაძიერებისაკენ და რეფერენტული მოწინააღმდეგის მიმართ საბრძოლველად განეწყო. ჩინეთის სახელმწიფომ განაცხადა, რომ თავის წვლილს შეიტანდა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, რამაც დადებითი გამოხმაურება ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში წლებია დიდ ადგილს იკავებს ჩინეთის გავლენის ზრდის საკითხი, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს ორი ქვეყნის ურთიერთობებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს ხელისუფლება ჩინეთთან დაკავშირებით ძალიან ხშირად ცვლიდა კურსს და ეს კარგად დავინახეთ ტაივანის მაგალითზეც.

ზესახელმწიფოები ყოველთვის ცდილობენ გავლენის მოპოვებას სხვა და სხვა მეთოდებითა და ხერხებით, ხოლო რაც შეეხება ძალის ფაქტორს ის მუდამ ითამაშებს გადამწყვეტ როლს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში და შექმნის მძლავრ კონკურენციას. მშვიდობის შენარჩუნება მსოფლიოში დამოკიდებულია სწორედ დიდ სახელმწიფოებზე, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ და ქმნიან

სწორედ პოლიტიკურ ამინდს. ჩინეთ-ამერიკის ინტერესები საკმაოდ ბევრ ასპექტში ეჯახება ერთმანეთს, მაგალითად, როგორიცაა: ტაივანის საკითხი, რეგიონალური უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, ეკონომიკა, სამხედრო ძალა და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ ბუშის პოლიტიკა ჩინეთისადმი განსაკუთრებით 9/11 -ის მოვლენებმა შეცვალა, ვინაიდან ჩინეთმა გამოთქვა სურვილი ჩაბმულიყო ტერირიზმთან ბრძოლის საქმეში და საკუთარი წვლილი შეეტანა გლობალურ უსაფრთხოებაში. ბუშმა თავისი პრეზიდენტობის წლებში ოთხჯერ მოინახულა ჩინეთი. 2005 წელს ბუში ჩინეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია და მოლაპარაკებები გამართა ჩინეთის პრეზიდენტთან ხუ ძინძაოსთან, სადაც შეთანხმდნენ, რომ გააძლიერებდნენ ორი ქვეყნის თანამშრომლობას და ნდობას, რათა გაეტარებინათ კოოპერაციული და კონსტრუქციული მუშაობა.

ბარაკ ობამამ თავისი პრეზიდენტობის წლებში არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა ჩინეთის პრეზიდენტთან ხუ ძინთაოსთან. 2009 წლის ნოემბრის შეხვედრის დროს ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ისაუბრეს ჩინეთისა და აშშ-ს გრძელვადიან ურთიერთობებზე. 2014-2016 წლებში ობამა არაერთხელ ეწვია ჩინეთს საქმიანი ვიზიტით.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ტიბეტის საკითხთან მიმართებაში, რომელიც ტაივანთან ერთად ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ორი ქვეყნის ურთიერთობაში, ობამამ პრეზიდენტობის დასაწყისში უარი თქვა დალაი ლამასთან შეხვედრაზე, რათა არ გართულებულიყო ურთიერთობები ჩინეთთან, თუმცა შემდეგ წლებში ყურადღება მაინც იქნა გამახვილებული შეკავების პოლიტიკის ელემენტებზე. მაგალითად: გაიზარდა სამხედრო კონტიგენტი, 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ჩინეთის აქტიური კრიტიკა.

რეალურად ბუშისა და ობამას პოლიტიკა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მიუხედავად ამისა ორივე მათგანის პრეზიდენტობის წლებში აქტიურად შეიმჩნეოდა მთელი რიგი ცვლილებები ჩინეთთან მიმართებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ობამას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აქტიურად დაიწყო აშშ-მ საკუთარი ინტერესების განხორციელება ჩინეთში. 2009 წელს ობამას მიერ განხორციელებული ვიზიტის გარდა არაერთი ვიზიტი განახორციელა ჰილარი კლინტონმაც.

ამერიკის ინტერესი აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მიმართ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, ბუშის პოლიტიკაც ჩინეთთან მიმართებაში ცვალებადი გახლდათ, ისევე როგორც ობამას პრეზიდენტობის წლებში. 2011 წელს გამოცხადებულ იქნა ამერიკის რებალანსირების პოლიტიკა, რაც გულისხმობდა იმას, რომ ამერიკა უნდა ჩართულიყო აზია წყნარი ოკეანის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში და ახალი კავშირები დაემყარებინა რეგიონის ქვეყნებთან. რებალანსირების პოლიტიკის მიზანი გახლდათ თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლა ინდოეთთან და ჩინეთთან, რომლებიც წარმოადგენენ მთავარ აქტორებს აზიის რეგიონში და ცდილობენ დაამყარონ კავშირები საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან.

ამერიკის უკმაყოფილებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ჩინეთი კარჩაკეტილ ეკონომიკურ ცხოვრებას ამჯობინებდა და არ აძლევდა უცხოურ კომპანიებს იმის შესაძლებლობას, რომ თავისუფლად ემოქმედათ და განეხორციელებინათ თავიანთი საქმიანობა ჩინეთის ტერიტორიაზე. 2014 წელ ობამამ განაცხადა, რომ ჩინეთი ნახულობდა საკმაოდ დიდ სარგებელს მსოფლიო ვაჭრობისაგან, პასუხისმგებლობის გარეშე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩინეთმა ნამდვილად წარმატებით გაართვა თავი ეკონომიკურ კრიზისს და მოახერხა დაებალანსებინა თავისი ეკონომიკა. აღნიშნულმა მოვლენებმა საკმადო დიდი გავლენა მოახდინა

რეგიონის სტრატეგიულ და ეკონომიკურ სტატუსსა და მდგომარეობაზე და გაზარდა მისი ავტორიტეტი და მნიშვნელობა ამერიკისთვის.

2010 წელს ASEAN-ის ფორუმის გამართვის დროს, ჰილარი კლინტონმა გააკეთა განცხადება, რომ აუცილებელია ტერიტორიული დავა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, მოგვარდეს მშვიდობიანი გზებით, ხოლო ამერიკა არ ჩაერეოდა ამ საკითხებში და დაიჭერდა ნეიტრალურ პოზიციას. აღნიშნულმა განცხადებამ მოწონება დაიმსახურა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, ხოლო ჩინეთმა კრიტიკულად შეაფასა. მოგვიანებით კი ჩინეთის მიერ განთავსებულ იქნა საჰაერო თავდაცვის სისტემები სადავო ტერიტორიებზე, მისი ეს ქმედება გაპირობებული იყო იაპონიის ქმედებებით, როდესაც იაპონიის მიერ დაკავებული იქნა მისი სათევზაო გემის კაპიტანი აღნიშნულ ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მიერ გაკეთებული იყო განაცხადი, რომ არ ჩაერეოდა მათ საქმეში აღნიშნა, რომ პატივს სცემს იაპონიის ადმინისტრაციულ კონტროლს, რასაც საფუძვლად ამერიკა იაპონიის შეთანხმება ედო.

ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებში დიდ როლს თამაშობს სადავო კუნძულები, რომელიც ადრე ეკუთვნოდა იაპონელ ოჯახს, ხოლო შემდეგ ხელისუფლებამ შეიძინა. ჩინეთში გააპროტესტეს აღნიშნული და მოახდინეს კუნძულის ნაციონალიზაცია, რის შემდეგადაც კუნძულის საჰაერო კონტროლიც გამკაცრებულ იქნა. ჩინეთის ამ ქმედებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მის რეპუტაციაზეც, ამერიკამ კი ეს მდგომარეობა გამოიყენა სათავისოდ და მეტად დაუახლოვდა იაპონიას. ჩინეთი ეცადა სადავო ტერიტორიების საკითხი გადაეჭრა ფილიპინებიდან, პროვოკაციის გზით, რათა მოეპოვებინა ადმინისტრაციული კონტროლი ტერიტორიებზე, რომელთა მიმართაც მანამდე აცხადებდა პრეტენზიას.

2002 წელს ასეანის ქვეყნებმა და ჩინეთმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე არსებულ სადავო ტერიტორიებთან მიმართებით

გადაწყვეტილებებს არ მიიღებდნენ ცალმხრივად, რათა საფრთხე არ შეექმნათ სტატუს კვოსთვის და მართლაც არ ქონია მთელი ეს პერიოდი ადგილი სამხედრო დაპირისპირებას.

2014 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გადადგმული ნაბიჯი შეფასებულ იქნა, როგორც ჩინეთის სუვერენიტეტისა და ინტერესების წინააღმდეგ მიმართ მიმართული ქმედება. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ამერიკა აღნიშნავდა, რომ დაიკავებდა ნეიტრალიტეტს და არ გამოხატავდა თავის პოზიციებს ჩინეთთან მიმართებით, 2014 წლიდან დაიწყო აქტიური კრიტიკა ჩინეთის მიმართ, მის მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო.

2000 წლიდან ჩინეთსა და იაპონიას შორის სენკაკუს კუნძულის გამო დაიწყო აქტიური დაპირისპირებები, რის გამოც დაიძაბა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, რასაც პროვოკაციებიც მოჰყვა ჩინეთის მხრიდან იაპონიის მისამართით. ჩინეთმა დაიწყო სამხედრო წვრთნების განხორციელებაც კუნძულზე, რაც აღქმულ იქნა, როგორც იაპონიის წინააღმდეგ მიმართული ქმედება.[13]

[13] https://www.amerikiskhma.com/a/japan-asean-chine/1811255.html ჩინეთსა და იაპონიას შორის ურთიერთობა გამწვავდა

თავი 2. ორი ზესახელმწიფოს კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება

2.1. აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ჯონ ტრამპი და მისი ნეოკონსერვატორული პოლიტიკა

დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ტრამპის მთავარი ლოზუნგი იყო: „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“, რითიც შეძლო მან მოსულიყო ხელისუფლების სათავეში 45-ე პრეზიდენტად, 2017 წლის 20 იანვარს. ის გახლდათ ბიზნესმენი, მან შეძლო მოეხდინა აპელირება საზოგადოებაზე, რომ ამერიკა არის განსაკუთრებული სახელმწიფო და დაიკავა მნიშვნელოვანი პოზიცია საარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში, განსხვავებით მისი კონკურენტის ჰილარი კლინტონისაგან.

ტრამპმა შეძლო ნაციონალურ გრძნობებზე აპელირებით საზოგადოების მანიპულირება და ნდობის მოპოვება. ის ასევე ეცადა შემოეღო ბიზნეს-ურთიერთობების სტილი საგარეო ურთიერთობებშიც.

ტრამპის მიერ გადადგმული და გაცხადებული აქტივობებიდან ყველაზე პოპულისტური აღმოჩნდა საიმიგრაციო კანონმდებლობის გაძლიერების საკითხი. კედლის აშენების შესაძლებლობა აშშ-მექსიკის საზღვარზე. 2015 წელს საფრანგეთში შარლი ებდოზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ ტრამპმი გამოვიდა განცხადებით, რომ აეკრძალათ დროებით მუსლიმთა იმიგრაცია აშშ-ში. მისი ხისტი საგარეო პოლიტიკის წყალობით ემიგრანტთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით შემცირებულ იქნა 70%-ით.

ტრამპის ადმინისტრაციის წარმატება დამოკიდებულია სხვა და სხვა სახის რეგულაციებთან, რომელიც ეხება გადასახადებსა და ბიზნესის წარმოებას. ტრამპმა უდიდესი მცდელობის შედეგად შეძლო დაებრუნებინა ქარხნები ამერიკის ტერიტორიაზე, რომლებიც გატანილი იყო მექსიკაში, ჩინეთში და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. მან განახორციელა პირდაპირი მუქარა, რომ გაზრდიდა ტარიფს

უცხოეთში გატანილი ქარხნების პროდუქციაზე. იაპონელებმა ტრამპის ზეწოლის შედეგად ამერიკაში გახსნეს „ტოიოტას“ ახალი ქარხანა.

ტრამპი თავისი პრეზიდენტობის დასაწყისიდანვე აღარ მალავდა უკვე, რომ მისი ქვეყანა აწარმოებდა სავაჭრო ომებს. მან გაზარდა იმპორტულ საქონელზე გადასახადი ყველა მიმართულებით,რომელმაც დააზარალა ჩინეთი, ევროპა, მექსიკა, კანადა. საპასუხოდ აღნიშნულმა სახელმწიფოებმა დაბეგრეს აშშ-ის საქონელი.

დღეს თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტების მოგვარება ძირითადად დათმობების სანაცვლოდ ხდება, როდესაც ერთი სახელმწიფო თმობს გარკვეული სახის პოზიციებს სხვა სფეროში დათმობის სანაცვლოდ. რაც ართულებს იმის დადგენას, თუ რომელი მხარეა გამარჯვებული ან დამარცხებული. აქედან გამომდინარე შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პოლიტიკური ომები უფრო გაუმჭვირვალეა, ვიდრე ეკონომიკური.

ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო ომის დროს ორივე მხარე წაგებულ პოზიციაშია. ერთი სახელმწიფოს წილი ვერ ანაზღაურებს მიყენებულ ეკონომიკურ ზარალს.

ტრამპმა სავაჭრო ომების წარმართვა დაიწყო სამი მიმართულებით: ჩინეთის, ევროკავშირისა და მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. კონფლიქტში მონაწილე მხარეებზე დაახლოებით მსოფლიო ეკონომიკის მთლიანი მოცულობის (87,5 ტრილიონი დოლარი) თითქმის ორი მესამედი მოდის. ჩინეთის წლიური მოცულობა გაყიდვების მსოფლიოში დაახლოებით 2 ტრილიონი დოლარია, მსოფლიოში ის მეორე ადგილს იკავებს მომსახურებისა და პროდუქტის შესყიდვების კუთხით.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებულ გადასახადებს იმპორტზე, ჩინურ და ევროპულ საქონელზე ჩინეთმა სწრაფადვე უპასუხა და საპასუხოდ სამიზნედ შეარჩია ფერმერთა პროდუქცია, რომლებიც მხარს

უჭერდნენ ტრამპს. ევროპამ ვისკიზე გაზარდა ტარიფები, თუმცა დაზარალდა ლითონისა და ალუმინის იმპორტით, ვინაიდან მათზე დაწესდა შეზღუდვები.[14]

ჯერ კიდევ 2018 წელს აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა სავაჭრო დარგში პიტერ ნავარომ Fox News-თან საუბარში აღნიშნა, რომ ჩინეთი არ არის ამერიკის პარტნიორი ეკონომიკის სფეროში, არამეს ის არის სტრატეგიული მეტოქე.[15]

2020 წლის მაისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტელეკომპანია „ფოქსთან" მიცემულ ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს ჩინეთის პრეზიდენტთან, მას ახლა მასთან საუბარი არ სურს: „ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს სი ზინპინთან, მაგრამ ახლა მასთან საუბარი არ მსურს. ბევრი რამის გაკეთება შეგვეძლო. შეგვეძლო ჩინეთთან ურთიერთობების სრულად გაწყვეტა. ეს რომ გაგვეკეთებინა რა მოხდებოდა? 500 მილიარდ დოლარს დავზოგავდით. ამაზე წლებია ვსაუბრობ. ჩინეთი არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ჩვენ გვიყენებს. ნატო-ში ევროპას ვიცავთ არაფრის გამო, მართლა არაფრის გამო. მე შევძელი, რომ ისინი მეიძულებინა, გადაეხადათ ათასობით მილიარდი დოლარი, ჩვენ ვიხდით მეტს, ისინი იხდიან ნაკლებს. ჩვენ ვიცავთ ევროპას და შემდეგ ისინი ჩვენით სარგებლობენ ვაჭრობაში", ამ სახის განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.[16]

ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების 28 მაისის გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა „კანონი უსაფრთხოების შესახებ", ესაა ახალი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ იკრძალება საპროტესტო აქციების ორგანიზება და ჩატარება ჰონ-კონგში, ხოლო ავტონომიური ქალაქის

[14] https://imedinews.ge/ge/theme/262/trampis-omebi-vin-gaimarjvebs-ashshs-evrokavshirsa-da-chinets-shoris-gachagebul-savachro-omshi ტრამპის ომები. ვინ გაიმარჯვებს აშშ-ს, ევროკავშირსა და ჩინეთს შორის გაჩაღებულ სავაჭრო ომში?

[15] https://commersant.ge/ge/post/donald-trampis-mrcheveli-chineti-ashsh-s-strategiuli-metoqea დონალდ ტრამპის მრჩეველი: ჩინეთი აშშ-ს სტრატეგიული მეტოქეა

[16] https://1tv.ge/news/donal-trampi-chinettan-urtiertoba-srulad-rom-gagvewyvita-500-miliard-dolars-davzogavdit/ დონალ ტრამპი - ჩინეთთან ურთიერთობა სრულად რომ გაგვეწყვიტა, 500 მილიარდ დოლარს დავზოგავდით

ტერიტორიაზე აძლევს მოქმედების უფლებას ჩინეთის პოლიციასა და სპეცსამსახურებს.

თუ კი გაისმება მოწოდებები ჰონ-კონგის ჩინეთიდან გამოყოფასთან დაკავშირებით, ახალი კანონით ის კვალიფიცირდება სისხლის სამართლის დანაშაულად და მკაცრი სასჯელი დაეკისრება ნებისმიერ ადამიანს ჩინეთის სახალხო რესპუბლის, მისი ჰიმნისა და დროშის შეურაცხყოფისათვის. ჯარიმის სახით დამნაშავე გადაიხდის 6,5 ათას დოლარს და შეეზრუდება თავისუფლება 3 წლამდე ვადით.

რაც შეეხება ჰონ-კონგის ისტორიას, მას შემდეგ რაც ჩინეთი დამარცხებულ იქნა ოპიუმთან ომში, დიდი ბრიტანეთის კუთვნილება გახდა ჰონ-კონგი და თითქმის საუკუნე ნახევარი აზიის უმსხვილეს სავაჭრო ცენტრად იქცა.

XX საუკუნიდან ჩინეთი აქტიურად ცდილობდა დაებრუნებინა ჰონ-კონგი და აწარმოებდა მოლაპარაკებებს ამ კუთხით. ქალაქი, რომელიც გამოირჩეოდა მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემითა და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკით ავტორიტარული სახელმწიფოს კონტროლქვეშ გადავიდა. ამავდროულად ჰონ-კონგს მიეცა პირობა, რომ შეინარჩუნებდა უმაღლესი ხარისხის ავტონომიას შემდეგი სახის ლოზუნგით: „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მკაცრი განცხადებაც სწორედ ამ საკითხის სიმწვავემ გამოიწვია, რომელმაც ჩინეთის გეგმების პასუხად განაცხადა შემდეგი, რომ აძლევდა განსაკუთრებულ დავალებას ამერიკის მთავრობას, რომ დაეწყო განსაკუთრებული პირობების გაუქმება ჰონგ-კონგისთვის. ტრამპმა აღნიშნულ ქმედებას ტრაგედია უწოდა, როგორც ჩინეთის, ასევე ჰონგ-კონგისა და მსოფლიო ხალხისთვის.[17]

ჩინეთსა და ამერიკას შორის დაპირისპირება თანამედროვე ეტაპზე გადაზრდილია საინფორმაციო ომში. ტრამპი ცდილობს ამერიკა ააღორძინოს და

[17] https://www.radiotavisupleba.ge/a/30642339.html ტრამპის თქმით, აშშ ჰონგ-კონგს გაუუქმებს ურთიერთობების განსაკუთრებულ პირობებს

აქციოს ძლევამოსილ და ანგარიშგასაწევ ძალად. ამერიკის შეერთებული შტატები დღესაც მიიჩნევა, როგორც მთავარი ძალა ევროატლანტიკური სამყაროს გადარჩენის.

2.2 ინფორმაციული ომის თავისებურებები და მისი გავლენა ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებზე

მსოფლიო ისტორიას მრავლად ახსოვს კონფლიქტები, რომლებიც იცვლებოდა და ვითარდებოდა საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ასევე ვითარდებოდა ის იარაღები და ბერკეტები, რომლებსაც იყენებდნენ სახელმწიფოები ერთამანეთის წინააღმდეგ, უპირატესობის მოსაპოვებლად. თანამედროვე ეტაპზე საქმე გვაქვს ომის ისეთ სახესთან, რომელსაც არ სჭირდება არც თოფები და არც ზარბაზნები და რომლის საშუალებითაც თავისუფლადაა შესაძლებელი ადამიანების ემოციების მართვა არასანდო საინფორმაციო წყაროების ფართო გავრცელებით, რაც იძლევა საუკეთესო საშუალებას ადამიანების ერთ სივრცეში მოსამწყვდევად და მათი უნარების დასაქვეითებლად. საინფორმაციო ომის შემსრულებელი შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო აქტორიც.

ინფორმაცია თანამედროვე ეტაპზე დიდი სიმდიდრე და სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსია, ინფორმაციის ფლობა დღეს ძალაუფლების მთავარ წყაროს წარმოადგენს, თუმცა შესაბამისი ინსტრუმენტების გარეშე ის არაფერია.

ინფორმაციული ომი ერთის მხრივ გულისხმობს მედია საშუალებების მიერ წარმოებულ პროპაგანდას, ასევე შეტევებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, რაც მოიაზრებს ინტერენეტის მეშვეობით განხორციელებულ შეტევებს საინფორმაციო საშუალებებზე. ასეთ შეტევებსა და დაპირისპირებას კიბერ-ომსაც უწოდებენ,

რათა მოხდეს მისი განსხვავება მარტივად ინფორმაციული პროპაგანდული ომისაგან.

ინფორმაციული ომი შეიძლება ჩავთვალოთ თანამედროვე, ინფორმაციული ეპოქის პირმშოდ, სადაც ინფორმაცია გამოიყენება, როგორც ძირითადი იარაღი, რომელიც ცვლის ომის ხასიათსა და შინაარს.

ინფორმაციული ომის პრობლემატიკის განხილვას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს იურიდიული და სამხედრო სამეცნიერო ლიტერატურა, რომელშიც მოცემულია ინფორმაციული ომის, როგორც ცნების განსაზღვრება, ასევე მისი სახეები და ინფორმაციული ომების მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გამოყენება.

ინფორმაციული ომის ყველაზე დემილიტარიზებული და ფართო განმარტება დაკავშირებულია მის განმარტებასთან, ესაა აშკარა ან ფარული მიზანმიმართული ზემოქმედება, შეიარაღებული კონფლიქტის გარეშე მიიღოს ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური ზემოქმედება, რათა ნახოს გარკვეული მოგება.

ინფორმაციული ომის განმარტებისას ძირითადად ორი მიდგომა გამოიყოფა: პირველი მიდგომის თანახმად, სისტემების ურთიერთქმედების მიზანს წარმოადგენს მოახდინოს დეზორგანიზაცია მართვის სისტემების, მათ შორის სამიზნე (მტრული) სახელმწიფოების ინფორმაციულ რესურსებსა და ტექნოლოგიებზე, ხოლო საკუთარი ინფორმაციული ინფრასტრუქტურა დაიცვას ამ სახის ზემოქმედებისაგან.

მეორე მიდგომა შეიძლება ითქვას, რომ უფრო უნივერსალურია და მოიცავს ინფორმაციული იარაღის გამოყენებას არამხოლოდ სამხედრო ინფრასტრუქტურასა და კადრებზე სამიზნე სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ ამ უკანასკნელის მთელ მოსახლეობაზე.

ყველაზე მარტივი გაგების თანახმად, ინფორმაციული ომი ეს არის მხოლოდ და მხოლოდ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა მთელ სამიზნე აუდიტორიაზე.

გამოიყოფა ის იარაღებიც, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციული ომის დროს. ინფორმაციული იარაღის პირველი სახე გახლავთ ინფორმაციის დისტანციური განადგურების, ან დაზიანების სისტემა კიბერნეტიკულ სისტემებში, რომლებშიც შედის ვირუსები და ლოგიკური ბომბები. მეორე სახეს მიეკუთვნება კომპიუტერებში არასანქცირებული წვდომისა და ინფორმაციის მოპარვის სისტემა, რომელშიც მოიაზრება ელექტრონული ჯაშუშები. იარაღის მესამე სახეს წარმოადგენს მომხმარებლის ფსიქიკაზე ზემოქმედების კომპლექსური სისტემა, რომელიც მუშაობს გლობალურ კიბერნეტიკულ სისტემასთან, რომელშიც იგულისხმება მულტიმედიური საიტები.

თუმცა, ვინაიდან საინფორმაციო ომები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა შეიძლება ითქვას, რომ მისი განმარტებაც დინამიურია.

სახელმწიფოების მიერ ინფორმაციული ომის გამოყენება არ არის ახალი და მას ხშირად იყენებენ სახელმწიფოები განსაკუთრებით ბოლო წლებში. ახალი არ არის ჩინეთ-ამერიკის საინფორმაციო ომიც.

მეტად საინტერესოდ გამოვლინდა პანდემიის პირობებში ინფორმაციული ომის თავისებურებები, რომელიც საკმაოდ კარგად გამოიყენა სამმა სახელმწიფომ: რუსეთმა, ჩინეთმა და ირანმა დეზინფორმაციის გასავრცელებლად და რომლის მიზანსაც წარმოადგენდა შეერყია დასავლეთის სახელმწიფოების მიმართ საზოგადოების ნდობა. სამივე სახელმწიფოს მხრიდან ვრცელდებოდა ერთმანეთის მსგავსი ნარატივები.

ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა ანგარიში, რომლის მიხედვითაც ონლაინდეზინფორმაციის გასავრცელებლად ჩინეთი და რუსეთი იყენებენ გლობალურ კრიზისს, რომელიც გამოიწვია პანდემიამ.

ჩინეთში პანდემიის პირობებში მოქალაქეთა კონტროლი კიდევ უფრო იქნა გაძლიერებული. მოქალაქეები, რომლებმაც გაბედეს, რომ შეწინააღმდეგებოდნენ ხელისუფლებას და დანარჩენ მსოფლიოს გაუგზავნეს სწორი მესიჯები Covid 19-თან დაკავშირებით ან საერთოდ დადუმდნენ, ან უკვალოდ გაქრნენ.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აღნიშნა, რომ ჩინეთმა ვერ შეძლო შეეჩერებინა ვირუსი, ან სპეციალურად არ შეაჩერა. ასევე დასძინა, რომ ,,მას ნანახი აქვს მტკიცებულება, რომ კორონავირუსი ჩინეთში მდებარე ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიიდან გავრცელდა". ტრამპის განცხადებით ჩინეთს არ სურს, რომ აშშ-ის პრეზიდენტად ტრამპი იყოს ხელახლა არჩეული.[18]

მართალია ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები სახარბიელო არც წინა პერიოდში ყოფილა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე ყველაზე გაუარესებულია, რაც უკავშირდება არამხოლოდ კორონავირუსის გავრცელებას, არამედ ტაივანის, ჰონ-კონგის, სინძიანგის საკონცენტრაციო ბანაკების, სამხრეთ ჩინეთის ზღვის საკითხებს.

ჩინეთის მსგავსად აშშ-ს უტევს ირანიც, რომლის მოქმედებებიც ძალიან ჰგავს რუსეთიდან და ჩინეთიდან აღებულ სცენარებს. პრეს TV (Press TV), ინგლისური და ფრანგულენოვანი 24 საათიანი ქსელი ისლამური რესპუბლიკის ირანის მაუწყებლობასთან (IRIB) არის ასოცირებული, მის მთავარ ამოცანას კი წარმოადგენს აშშ-ის სამხედრო ძალების დაკავშირება კორონავირუსთან.

ისლამის რევოლუციურ მცველთა კორპუსის (IRGC) მეთაურმა 5 მარტს გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც არსებობს იმის მტკიცებულებები, რომ ვირუსი არის აშშ-ის ბიოლოგიური თავდასხმის იარაღი. „ჩვენ მოვიგებთ ბრძოლას ვირუსის წინააღმდეგ, რომელიც შესაძლოა იყოს აშშ-ის ბიოლოგიური თავდასხმის

[18] https://1tv.ge/news/donald-trampi-chinetma-an-ver-sheachera-virusi-an-mis-gavrcelebas-kheli-ar-sheushala/

პროდუქტი, რომელიც ჯერ ჩინეთში გავრცელდა, შემდეგ ირანში და შემდეგ - დანარჩენ მსოფლიოში“, აღნიშნა სალამიმ.[19]

რაც შეეხება მეთოდებს, რომლის დახმარებითაც ხდება ყალბი ამბების გავრცელება ეს არის, ტრადიციული და სოციალური მედია, ანონიმური მედიასაშუალებები, ტროლები, დიპლომატები და სახელმწიფო პირები.

რაც შეეხება კრემლის საინფორმაციო ომს მიუხედავად იმისა, რომ ის ახალი არ არის და წლებია მას რუსეთი მიმართავს, განსაკუთრებით გააქტიურდა პანდემიის პირობებში.

ევროკავშირის განცხადებით კორონავირუსის შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებს რუსეთის მთავრობის მხარდამჭერი მედია საშუალებები, რომლითაც ცდილობს, რომ ევროკავშირის მოსახალეობაში დანერგოს პანიკა და შიში, რათა დანერგოს უნდობლობა ევროპული სამედიცინო სისტემის მიმართ. ევროკავშირის თანახმად, დეზინფორმაცია რუსეთის მხრიდან გავრცელებულ იქნა რამდენიმე ენაზე, მათ შორის ესპანურად, ფრანგულად, გერმანულად და ინგლისურად. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ კრემლი ურთიერთგამომრიცხავ თეორიებსაც ავრცელებს კორონავირუსთან დაკავშირებით, რათა შექმნას ქაოსი.

ევროკავშირის ინფორმაციით კრემლის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ ინფორმაციის გავრცელება, რომ ევროპაში კორონავირუსი ჩაიტანეს მიგრანტებმა და ის ბიოლოგიური იარაღია, რომელიც შექმნა დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა ან ჩინეთის ხელისუფლებამ.[20]

ჩინეთის სახელმწიფო გამოირჩევა ცენზურით საკომუნიკაციო ქსელსა და ინტერნეტში. ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი აქტიურ კონტროლს უწევს სოციალურ მედიას და მას თავისი ინტერესების შესაბამისად იყენებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩინეთის ხელისუფებას 2

[19] https://www.gfsis.org/ge/blog/view/1067 დონალდ ტრამპი - ჩინეთმა ან ვერ შეაჩერა ვირუსი, ან მის გავრცელებას ხელი არ შეუშალა

[20] https://www.gfsis.org/ge/blog/view/1067 პანდემიური პროპაგანდის ტრიო, როგორ იღებს მიზანში დასავლეთს ჩინეთი, რუსეთი და ირანი (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა

მილიონამდე ინტერნეტ მომხმარებელი ყავს დაქირავებული, რომლებიც წერენ სასურველ კომენტარებს, რითიც ცდილობენ მოახდინონ ზემოქმედება საზოგადოებრივ აზრზე და მართონ მოქალაქეები. ღოგორც აღმოჩნა ჩინეთის მთავრობა დაახლოებით ახდენს 448 მილიონი კომენტარის ფაბრიკაციას. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს რეგლარულად ყავდეთ საზოგადოება ყურადღების ცენტრში სასურველი თემების მიმართ.[21]

თუ გვსურს ადამიანების დარწმუნება რაიმეშ პროპაგანდა წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას, რომელსაც მოაქვს ხოლმე საკმაოდ კარგი შედეგი. დღეს დეზინფორმაციის გავრცელება, პროპაგანდა საუკეთესო იარაღად იქცა სახელმწიფოების მხრიდან საუკეთესო შედეგების მისაღწევად. ინფორმაციული ომი აქტიურად წამოიწყო ჩინეთმა პანდემიის პირობებში. თუმცა ამ უკანასკნელის გამოყენებაე არც ამერიკის შეერთებული შტატები არ ამბობს უარს, რომელმაც არჩევნების პერიოდში საკმაოდ აქტიურად მიმართა ყალბი სიახლეების გავრცელებას და საბოლოო ჯამში ფაქტიურად შეუძლებელიც კი გახდა სიმართლე გაერჩიათ დეზინფორმაციისაგან.

საინტერესა თუ რაში სჭირდება ჩინეთს დაქირავებული ადამიანები ყალბი ამბების გასავრცელებლად და პსტებზე ყალბი კომენტარების დასაწერად. სწორედ მათი საშუალებით შესაძლებელია პოსტების რაოდენბამ მოიმატოს მომენტალურად ზოგიერთი მოვლენს დროს, ეს კი ის მოვლენებია, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საზოგადების ყურადღება ტრანსფორმირდეს ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე და ყურადღების მიღმა დარჩეს მნიშვნელოვანი მოვლენები.

მონიტორინგის წარმოება ყალბი ამბების გავრცელების აღმოსაფხვრელად, რთული პროცესი, მაგრამ სასურველია. თუმცა რთულია პროპაგანდასთან ბრძოლა

[21] https://www.cyberhouse.ge/blog/2017/03/23/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%92/ ინფორმაციული ომი – პროპაგანდა და კონტრპროპაგანდა

სოციალურ ქსელებში, რომლებიც წარმოადგენენ ნებისმიერი სახის ინფორმაციის სწრაფად გავრცელების საშუალებას.

დასკვნა

ჯერ კიდევ უძველესი პერიოდიდანვე ცივილიზაციათა მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობები. სახელმწიფოებმა ადრეული პერიოდიდანვე დაიწყეს ზრუნვა გაეზარდათ თავიანთი გავლენის სფეროები სტრატეგიული თვალსაზრისით.

ამერიკის შეერთებული შტატები ცივი ომის დასრულების შემდეგ წამყვან სახელმწიფოდ იქცა, რომლის კონკურენტი საკმაოდ დიდი ხნის მანძილzე არ გამოჩენილა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ჩინეთის სახელმწიფო იქცა მის მთავარ მეტოქედ. თუმცა ჩინეთისაგან განსხვავებით აშშ დღესაც რჩება ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ, ვინაიდან მას უდიდესი წვლილი შეაქვს მსოფლიო უსაფრთხოების საკითხში და მთავარ ძალად არის ჩამოყალიბებული მსოფლიოში, ხოლო ჩინეთის ინტერესები შემოფარგლულია რეგიონით.

XX საუკუნის შემდეგ ჩინეთი იქცა თანამედროვე ტიპის, გლობალური მნიშვნელობის ზესახელმწიფოდ, რაც აისახა მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც უფრო პრაგმატული, მოქნილი და აქტიური გახდა. ჩინეთი ეკონომიკურად საკმაოდ მზარდი სახელმწიფოა, მიუხედავად თანამედროვე გამოწვევებისა და წინააღმდეგობებისა.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია სტრატეგიაზე, რომელიც შემუშავებულია კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის ინტერესებზე დაყრდნობით. ჩინეთი საკუთარ თავს უწოდებს მესამე სამყაროს ქვეყანას, რომელიც დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკურ კურსს აწარმოებს. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ არაერთგვაროვანია მესამე სამყაროს ცნება. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ინტერესები უფრო რეგიონზე ვრცელდება, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები მიჩნეულია მსოფლიო უსაფრთხოების ერთგვარ გარანტად, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ჩინეთმაც გააქტიურა მსოფლიო განვითარებისა და მშვიდობის ხელშეწყობა.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ჩინეთი აქტიურად მონაწილეობდა მშვიდობის, მსოფლიო წესრიგის უზრუნველყოფისა და განვითარების საქმეში. მისი მიზანი დაეფუძნა ახალი მოდელის, საელმწიფოთა გაერთიანებას საერთო ინტერესებით, რომლებიც იქნებიან ორიენტირებულები ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებასა და საერთო თანამშრომლობაზე, რომელიც საერთო მომავლის იდეას დაეფუძნება.

დღეს თითოეული ქვეყნა ცდილობს აქტიურად იყოს ჩართული გლობალური გამოწვევების ტენდენციებში და თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ურთიერთობებში. სახელმწიფოები ქმნიან საერთაშორისო მულტიპოლარულ სისტემას, რომელიც ხასიათდება იმანენტური თვისებებით.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკური კურსი ეფუძნება შემდეგ პირინციპებს, როგორიცაა: სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი, თანასწორუფლებიანობა, მშვიდობის თაარსებობის პრინციპი, ორმხრივი სარგებელი. მისი საგარეო პოლიტიკის პრინციპები წარმოადგენს ალტერნატივას ამერიკის შეერთებული შტატების კონცეფციისას, რომელიც ასევე ეფუძნება პროდასავლურ, დემოკრატიულ ინტერესებსა და ღირებულებებს.

ორ სახელმწიფოს შორის არსებული ეკონომიკურ პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე განხილულ იქნა ის საკვანძო საკითხები და გამოწვევები, რომლებიც დღეს აქტიურად დგას მათ წინაშე და ახდენენ გავლენას, როგორც მათ ურთიერთობებზე, ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენენ მთელი მსოფლიოსათვის.

მნიშვნელოვანია ამერიკის პრეზიდენტების საგარეო პოლიტიკური კურსის ცვალებადობა ჩინეთის სახელმწიფოს მიმართ, როგორც სავაჭრო ურთიერთობების კუთხით, ასევე პოლიტიკური ინტერესებისა და ურთიერთობების კუთხით. ცვალებადი პოლიტიკა ტაივანის, ტიბეტის, ჰონგ-კონგის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში.

XXI საუკუნეში მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მათ შორის დაპირისპირებამ შეიძლება ითქვას, რომ პიკს მიაღწია და ერთგვარ გამოწვევად იქცა მთელი მსოფლიოსათვის. საინფორმაციო ომი, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს ამ ეტაპზე და ქმნის ბევრ წინაღობას გლობალური პანდემიის პირობებში.

ნაშრომის პირველ თავში საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო ჩინეთ-ამერიკის უთიერთობების ისტორიულ კონტექსტში განხილვას, მათ შორის დიპლომატიური, ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას, 1978 წლიდან დღემდე. სანამ ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბდებოდა ეკონომიკური ურთიერთობები მათ საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზის გავლამ მოუწიათ, რომელთა შორის ურთიერთობებიც დაკავშირებულია საკითხთა სიმრავლესთან და დიდ გაურკვევლობასთან.

მნიშვნელოვანი საკითხია სავაჭრო ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის. ჩინეთი, რომელიც კანადის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო ამერიკისთვის. 2014 წლის მონაცემებით ჩინეთის ეკონომიკაში ჩადებულმა ინვესტიციებმა ამერიკის მიერ, შეადგინა 61,5 მილიარდი დოლარი. 2016 წლის ბოლო თვის მონაცემებით კი ჩინეთი გახლდათ ამერიკისათვის ყველაზე მსხვილი უცხოელი მფლობელი ფედერალუზი ხაზინის ფასიანი ქაღალდების.

დღეს ყველა აღიარებს, რომ ჩინეთიც და ამერიკაც მსოფლიოსათვის ორ უდიდეს ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკისათვის და პოლიტიკისათვის. ურთიერთდამოკიდებულება ამ ორი ქვეყნის ფაქტიურად გარდაუვალია, ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია მათ შორის არსებული გამოწვევებისა და თანამედროვე რეალობაში არსებული მძიმე ურთიერთობების ნორმალიზება.

ბუშის პრეზიდენტობის წლებშიც საკმაოდ ცვალებადი იყო ამერიკის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ, ბუშმა დამოკიდებულება შეცვალა 9/11-ის მოვლენების შემდეგ, როდესაც ჩინეთმა გამოთქვა მზაობა თავისი წვლილი შეეტანა მსოფლიო უსაფრთხოების საკითხში. რაც შეეხება ობამას პრეზიდენტობის წლებს, მიუხედავად ცვალებადობისა, შედარებით მშვიდობიანი გახლდათ. ობამამ დასაწყისშივე სცადა დაებალანსებინა ჩინეთთან ურთიერთობები.

2011 წელს ობამამ აქტიურად დაიწყო სამხრეთ აზიის რეგიონში რებალანსირების პოლიტიკა. დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირების დამყარებით გაზარდა თავისი გავლენები რეგიონში, რაც საფრთხედ აღიქვა ჩინეთმა და ჩამოუყალიბდა უარყოფითი დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ჩინეთთან ახლოს კი ამერიკის ჯარების გამოჩენა და ალიანსების შეკვრა ამერიკის გარშემო, ჩინეთის მიერ აღქმული იქნა, როგორც მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებები.

ჩინეთს მალაკას საკითხი აწუხებდა, ამერიკის შეერთებული შტატები კი კონტროლს უწევდა ჩინეთის სატრანსპორტო გზის მთავარ სრუტეს, რასაც ემყარებოდა ჩინეთის ეკონომიკა. თუმცა მიანმარის გავლით მას ჰქონდა სრუტის ალტერნატივა, რომლის მოჭრაზეც მუშაობდა ამერიკა. თუმცა ობამას პოლიტიკის წყალობით ამერიკა ახერხებდა მისი პრეზიდენტობის ბოლო წლებში დაებალანსებინა ჩინეთის ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ინტერესები ბევრ კონტექსტში ირღვეოდა, ვინაიდან ვერ იყენებდა თავის შესაძლებლობებს მაქსიმალურად. ჩინეთს რეგიონში ძალიან ბევრი პრობლემები ჰქონდა, ამიტომ რეგიონის ქვეყნები ატარებდნენ უარყოფით პოლიტიკას ჩინეთთან მიმართებაში.

ტრამპმა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე სავაჭრო ომების წარმართვა დაიწყო სამი მიმართულებით: ჩინეთის, ევროკავშირისა და მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. კონფლიქტში მონაწილე მხარეებზე დაახლოებით მსოფლიო ეკონომიკის მთლიანი მოცულობის (87,5 ტრილიონი დოლარი)

თითქმის ორი მესამედი მოდის. ჩინეთის წლიური მოცულობა გაყიდვების მსოფლიოში დაახლოებით 2 ტრილიონი დოლარია, მსოფლიოში ის მეორე ადგილს იკავებს მომსახურებისა და პროდუქტის შესყიდვების კუთხით.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებულ გადასახადებს იმპორტზე, ჩინურ და ევროპულ საქონელზე ჩინეთმა სწრაფადვე უპასუხა და საპასუხოდ სამიზნედ შეარჩია ფერმერთა პროდუქცია, რომლებიც მხარს უჭერდნენ ტრამპს. ევროპამ ვისკიზე გაზარდა ტარიფები, თუმცა დაზარალდა ლითონისა და ალუმინის იმპორტით, ვინაიდან მათზე დაწესდა შეზღუდვები.

თანამედროვე პანდემიის პირობებში საკმაოდ მძიმე მდგმარეობაში აღმოჩნდა ჩინეთის სახელმწიფოც, ისევე როგორც მსოფლიო. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჩინეთის ეკონომიკა გაზრდას მხოლოდ 2,5%-ით შეძლებს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. თუმცა აღნიშნულმა გამოწვევამ უარყოფითი გავლენა მოახდინა, როგორც განვითარებულ, ასევე ღარიბ და განვითარებად სახელმწიფოებზეც, განსაკუთრებით ისეთი ტიპის სახელმწიფოები, რომლებიც დამოკიდებულები არიან იმპორტზე ღრმა კრიზისში აღმოჩნდებიან. გლობალურმა პანდემიამ ჩინეთს საკმაოდ რთულ დროს შეუტია, მაშინ, როდესაც მისი ეკონომიკა ისედაც იყო კრიზისში.

განხილული ცვალებადი პოლიტიკისა და არსებული ქეისების საფუძველზე დავინახეთ, თუ რამდენად განსხვავებული ხედვები ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას ჩინეთის სახელმწიფოს მიმართ. თუმცა მიუხედავად წარსულში და თანამედროვე ეტაპზე არსებული დაპირისპირებებისა მათი ეკონომიკა ყოველთვის მზარდი იყო. მათ საერთო ინტერესებში შედის სავაჭრო ურთიერთობების ნორმალიზება, რომელიც ორივე სახელმწიფოსთვის პრიორიტეტია, თუმცა ტრამპის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, მნიშვნელოვანი ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა ამ კუთხითაც.

ტრამპი, რომელიც განსხვავდება მისი წინამორბედებიდან, როგორც ხედვებითა და ინტერესებით, ასევე განსხვავებული ქმედითი ნაბიჯებითა და

მკაცრი განცხადებებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს ჩინეთთან ურთიერთობების კუთხითაც. თუმცა რა ასახვას ჰპოვებს მისი პოლიტიკური კურსი აღნიშნულზე სულ მალე ვნახავთ. თუმცა ფაქტია, რომ ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულების შედეგად ჩამოყალიბებული კავშირები, რომლებიც შესაძლოა თანამედროვე დაძაბულობის ფონზე გაწყდეს აუცილებლად გამოიწვევს ნეგატიურ შედეგს ორივე ქვეყნის სავაჭრო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. კალანდია, ჩინეთისტრანსფორმაცია XXI საუკუნეში. თბ., 2015 ·
2. სამეცნიეროშრომებისკრებული. თბილისისღიასასწავლოუნივერსიტეტი. თბ., 2018
3. მ. გურამიშვილი. ტაივანის საკითხი ჩინეთის სახალსო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ ურთიერთობებში.თბ., 2009
4. შ. მალაშხია. კონფლიქტების ანატომია. თბ., 2011
5. China's Foreign Policy and External Relations, Directorate-General for External Policies, European Parliament, 2015
6. U.S.-China Relations. Congressional Research Service. 2019
7. Koleski K., Backgrounder: China in Latin America // US-China Economic & Security Review Commission, 2011
8. Robert D. Blackwill, Kurt M., Kampbell, Xi Jinping on the Global Stage - Chinese Foreign Policy Under a Powerful but Exposed Leader // Council of Foreign Relations, 2016
9. Wang Yizhou, China's Diplomacy: Ten Features // China Institute of Contemporary International Relations 2009
10. Jinping Xi. The Governance of China;– First Edition 2017; Second Printing 2017; Published by Foreign Languages Press Co. Ltd, Beijing, China 2017
11. Sebastian Hornschild. European Union Institute for Security Studies (EUISS); China in the Middle East: not just about oil. 2016
12. Niu Xinchun, trans. HaibingXing, "China's Interests in and Influence over the Middle East," Contemporary International Relations, Vol. 24, No. 1. 2014
13. Identifying Convergences and Divergences in APEC RTAs/FTAs. 2009

ინტერნეტ რესურსები:

1. https://www.radiotavisupleba.ge/a/1991847.html Google-ის მცდელობა, გვერდი აუაროს ჩინეთში ცენზურას (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 25.05.2020)
2. https://www.trt.net.tr/georgian/mec-niereba-da-tek-nologia/2019/07/31/ashsh-sam-k-veganas-1-5-miliardi-dolaris-g-irebulebis-iarag-s-mihqidis-1245327 აშშ სამ ქვეყანას 1,5 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღს მიჰყიდის (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 27.05.2020)

3. https://imedinews.ge/ge/msoflio/92034/taivani-msoplios-chinetisgan-datsvas-stkhovs ტაივანი მსოფლიოს ჩინეთისგან დაცვას სთხოვს (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 27.05.2020)
4. http://www.tabula.ge/ge/story/167796-donald-trampma-taivanis-saertashoriso-urtiertobebis-mxardamcher-kanons-xeli-moatsera დონალდ ტრამპმა ტაივანის საერთაშორისო ურთიერთობების მხარდამჭერ კანონს ხელი მოაწერა (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 15.06. 2020)
5. https://asean.org/?static_post=rcep-regional-comprehensive-economic-partnershipRegional Comprehensive Economic Partnership (RCEP) (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 15.06. 2020)
6. https://www.forbeswoman.ge/post/%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C-%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8-%E1%83%A1%E1%83%90 აშშ-ს და ჩინეთს შრის სავაჭრო ომი, ვინ რჩება მოგებული? (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 15.06. 2020)
7. https://www.amerikiskhma.com/a/japan-asean-chine/1811255.html ჩინეთსა და იაპონიას შორის ურთიერთობა გამწვავდა (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 15.06. 2020)
8. https://imedinews.ge/ge/theme/262/trampis-omebi-vin-gaimarjvebs-ashshs-evrokavshirsa-da-chinets-shoris-gachagebul-savachro-omshi ტრამპის ომები. ვინ გაიმარჯვებს აშშ-ს, ევროკავშირსა და ჩინეთს შორის გაჩაღებულ სავაჭრო ომში? (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 16.06. 2020)
9. https://commersant.ge/ge/post/donald-trampis-mrcheveli-chineti-ashsh-s-strategiuli-metoqea დონალდ ტრამპის მრჩეველი: ჩინეთი აშშ-ს სტრატეგიული მეტოქეა (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.06. 2020)
10. https://1tv.ge/news/donal-trampi-chinettan-urtiertoba-srulad-rom-gagvewyvita-500-miliard-dolars-davzogavdit/ დონალ ტრამპი - ჩინეთთან ურთიერთობა სრულად რომ გაგვეწყვიტა, 500 მილიარდ დოლარს დავზოგავდით (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.06. 2020)
11. https://www.radiotavisupleba.ge/a/30642339.html ტრამპის თქმით, აშშ ჰონგ-კონგს გაუუქმებს ურთიერთობების განსაკუთრებულ პირობებს (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.06. 2020)
12. http://24blog.ge/news/story/2774-chineti-google-isa-da-ashsh-s-braldebebs-uaryofs ჩინეთი Google-ისა და აშშ-ს ბრალდებებს უარყოფს (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.06. 2020)
13. https://1tv.ge/news/donald-trampi-chinetma-an-ver-sheachera-virusi-an-mis-gavrcelebas-kheli-ar-sheushala/ დონალდ ტრამპი - ჩინეთმა ან ვერ შეაჩერა ვირუსი, ან მის გავრცელებას ხელი არ შეუშალა (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.06. 2020)

14. https://www.gfsis.org/ge/blog/view/1067 პანდემიური პროპაგანდის ტრიო, როგორ იღებს მიზანში დასავლეთს ჩინეთი, რუსეთი და ირანი (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.06. 2020)
15. https://newsreport.ge/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99/ კორონავირუსმა ჩინეთის ეკონომიკა ჩამოაქცია (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.06. 2020)
16. https://www.cyberhouse.ge/blog/2017/03/23/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%92/ ინფორმაციული ომი – პროპაგანდა და კონტრპროპაგანდა (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
17. https://www.radiotavisupleba.ge/a/30565992.html ტექნოლოგიური გიგანტები კორონავირუსის „ინფოდემიის“ წინააღმდეგ (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
18. https://csogeorgia.org/ge/newsPost/25072 კოვიდ-19: დეზინფორმაცია კლავს (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
19. https://covid19.who.int/?gclid=Cj0KCQjwoaz3BRDnARIsAF1RfLfrg0TnvXCe6cU7a_iJ176ttJd4iBJ4unVgqafPC8RID8iuvM9IhxUaAoCxEALw_wcB WHO Coronavirus Disease (COVID-19) Dashboard (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
20. https://thediplomat.com/2020/05/the-new-us-china-battlefield-over-the-covid-19-narrative-poland/ The New US-China Battlefield Over the COVID-19 Narrative: Poland Largely via Twitter, the U.S. and Chinese ambassadors to Poland have engaged in a fierce debate over COVID-19. (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
21. catalog.nplg.gov.ge Coronavirus: US-China virus row flares with senator's comments (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
22. https://www.euronews.com/2020/05/05/coronavirus-as-us-and-china-fight-over-origin-of-covid-19-eu-calls-for-independent-probe Coronavirus: As US and China fight over origin of COVID-19, EU calls for independent probe (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
23. https://news.cgtn.com/news/2020-05-16/COVID-19-epidemic-s-impact-on-U-S-China-bilateral-ties-QxwPPNdaRW/index.html COVID-19 epidemic's impact on U.S.-China bilateral ties (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
24. https://www.ncuscr.org/event/covid-19-us-china COVID-19 and the U.S.-China Relationship: Collision or Collaboration? (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)

25. https://www.industryweek.com/the-economy/article/22025438/us-needs-china-more-than-china-needs-the-us US Needs China More Than China Needs the US (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
26. https://thediplomat.com/2020/05/the-precarious-triangle-china-taiwan-and-united-states/ The Precarious Triangle: China, Taiwan, and United States. Taiwan has become the most dangerous flashpoint in U.S.-China relations. (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
27. https://www.washingtonpost.com/world/asia_pacific/bellicose-us-china-rhetoric-looms-over-inauguration-of-taiwan-president/2020/05/20/e63e9fe4-9a66-11ea-ad79-eef7cd734641_story.html As U.S.-China rhetoric grows harsher, new risks emerge with Taiwan drawn into the mix (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
28. https://thehill.com/opinion/international/502865-pass-the-taiwan-defense-act-tell-china-that-america-will-defend-taiwan Pass the Taiwan Defense Act — tell China that America will defend Taiwan (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
29. https://www.uschina.org/reports/understanding-us-china-trade-relationship Understanding the US-China Trade Relationship USCBC and Oxford Economics Announce Release of Job Study Report (Audio) (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
30. https://www.brookings.edu/testimonies/u-s-china-economic-relations-implications-for-u-s-policy/ U.S.-China Economic Relations: Implications for U.S. Policy (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
31. https://www.oxfordeconomics.com/recent-releases/understanding-the-us-china-trade-relationship UNDERSTANDING THE US-CHINA TRADE RELATIONSHIP (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
32. https://fas.org/sgp/crs/row/RL33534.pdf China's Economic Rise: History, Trends, Challenges, and Implications for the United States, Updated June 25, 2019 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
33. https://ustr.gov/about-us/policy-offices/press-office/fact-sheets/2011/january/us-china-economic-issues U.S.-China Economic Issues (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)
34. https://carnegieendowment.org/2020/03/19/china-s-economic-growth-now-depends-on-west-pub-81326 China's producers hope to restore capacity in the weeks ahead, but sagging demand in export markets could hold back economic recovery. (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.06. 2020)